გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№118 (24.998) შაბათი, 29 - 31 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვლჭყაპი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 767 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უნგრეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მაღალი რანგის შეხვედრები გამართა. საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა იყო ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ჯერ - პირისპირ, შემდეგ კი გაფართოებულ ფორმატში განიხილეს. შეხვედრაზე აღინიშნა უნგრეთის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, რისთვისაც ირაკლი ღარიბაშვილმა უნგრელ კოლეგას მადლობა გადაუხადა.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საქართველოში ევროკავშირის ელჩს პაველ ჰერჩინსკის შეხვდა. მხარეებმა განიხილეს ევროკავშირის 12 რეკომენდაციის განხორციელების პროცესი, ასევე, ევროკავშირის მოსაზრებები და მოლოდინები ამ მიმართულებით საქართველოს პროგრესთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ხაზი გაესვა უახლოეს მომავალში საქართველოში ევროკომისიის მაღალი დონის ვიზიტის მნიშვნელობას. ევროკავშირის ელჩმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლობა გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას რეკომენდაციების შესრულების პროცესში.

* * *

აფხაზური ენის გადარჩენის გარეშე არ არსებობს აფხაზების გადარჩენა, - ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში გაავრცელა. სალომე ზურაბიშვილის განმარტებით, თავისი მრავალათასწლოვანი არსებობის პერიოდში, აფხაზური ენა პირველად დადგა გაქრობის საფრთხის წინაშე. „საქართველომ, თავისი ევროინტეგრაციის გაღრმავების პარალელურად, უნდა შეძლოს აფხაზური ენის გადარჩენა და მისი განვითარება საერთო ევროპული კულტურული დღის წესრიგის მნიშვნელოვან თემად აქციოს, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

* * *

არანაირ ერთ პარტიად ჩამოყალიბებას არ ვაპირებთ, საერთო სამოქმედო გეგმაზე შევთანხმდით სამი პოლიტიკური ძალა. იმედია, ეს წრე გაფართოვდება, - ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ მისი პარტიის, „გირჩი - მეტი თავისუფლებისა“ და „დროას“ გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა. „ჩვენი ამოცანაა, ყველა პროევროპელი დავდგეთ ერთად, პრორუსები კი, რომლებიც უმცირესობაში არიან, რეალურ უმცირესობაში გადავიყვანოთ, - განაცხადა ვაშაძემ“.

მოამზადა
ია შველიძემ

# თორნიკე რიჟვაძე ევროპის საზღვაო რეგიონების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს

***აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ საზღვაო რეგიონების კავშირის (CPMR) 50-ე გენერალურ ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც საბერძნეთის რესპუბლიკაში გაიმართა***

გენერალურ ასამბლეაზე CPMR-ის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები აირჩიეს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ევროპის საზღვაო რეგიონების კავშირის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა მეორე ვადით დაიკავა. ჩატარდა, ასევე, CPMR-ის პოლიტიკური ბიუროს წევრების არჩევნები, რომელშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი რეგიონი და პოლიტიკური ბიუროს წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობდა.

- დიდი პატივია ევროპის საზღვაო რეგიონების კავშირის ვიცე-პრეზიდენტობა მეორე ვადით. მადლობა CPMR-ს ნდობისთვის! - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიზიტის ფარგლებში, თორნიკე რიჟვაძე ნორდ ჰოლანდის რეგიონულ მინისტრს, ევროპის საზღვაო რეგიონების კავშირის პრეზიდენტ ქეის ლოჰანს, ამავე კავშირის გენერალურ მდივანს ელენი მარიანუს და CPMR-ის ბალკანეთისა და შავი ზღვის კომისიის აღმასრულებელ მდივან სტავროს კალონომოსს შეხვდა.



აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სამუშაო შეხვედრა გამართა კრეტას რეგიონის თავმჯდომარე სტავროს არნაუტაკთან. შეხვედრაზე იმსჯელეს რეგიონებს შორის ტურიზმის, ეკონომიკის, სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივებზე, განიხილეს განათლების, გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები და დაისახა სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული გეგმები და მიმართულებები.

საზღვაო რეგიონების კავშირი 150 რეგიონს აერთიანებს. ასოციაცია ფოკუსირებულია სოციალურ, ეკონომიკურ საკითხებზე, საზღვაო პოლიტიკასა და ლურჯი ეკონომიკის განვითარებაზე. CPMR-ის წარმომადგენლობა მოიცავს დაახლოებით 200 მილიონ ადამიანს.

2020 წლის ივნისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა CPMR-ის და ამავე ორგანიზაციის შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის (BBSC) სრულუფლებიანი წევრია. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე პირველად, 2 წლის ვადით, CPMR-ის ვიცე-პრეზიდენტად 2020 წლის 29 ოქტომბერს აირჩიეს.

# ქართული დელეგაცია – სტრასბურგში

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 43-ე პლენარულ სესიაში ქართული დელეგაციაც მონაწილეობდა, მათ შორის იყო აჭარის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი - ირაკლი ჭეიშვილი. სესიაზე კონგრესის ახალი გენერალური მდივანი - მატეო მორი კენჭისყრის შედეგად აირჩიეს. დელეგატებმა ევროპის საბჭოს სამომავლო გეგმებზე, კონგრესის როლსა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიაზე იმსჯელეს. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 43-ე პლენარული სესია 25 ოქტომბერს გაიხსნა და სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.



## «ხალხის ძალა» ჩამოყალიბების პროცესში 4

## სოფელი რომ არ დაცარიელდეს 6

## «ჯიბარი» დედიკოდან - ნარკომანი შვილის დედობამდე 5

## სკაუტინგი - შესაძლებლობების უწყვეტი გზა 7

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# რა მდგომარეობაა საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***აჭარის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის გამოვლენა და მოგვარება - ამ თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა*** კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე საკითხის თემატურ მოკვლევასთან დაკავშირებით მოხსენებით წარსდგა. შეხვედრაზე დამსწრე ბათუმის საჯარო სკოლების დირექტორებმა, ასევე, მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების წარმომადგენლებმა ამ საკითხთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და იმ საჭიროებებზე ისაუბრეს, რის მოგვარებასაც აუცილებლობად თვლიან.




- არაერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს სკოლა იმისათვის, რომ ბავშვებისთვის სასკოლო ბიბლიოთეკა იყოს ადგილი, სადაც არა მხოლოდ გარკვეულ ლიტერატურას გაეცნობიან, არამედ დაგეგმავენ და განახორციელებენ პროექტებს და ეს იქნება ცოცხალი შეხვედრების ადგილი, რომელიც მათ საგანმანათლებლო მიზნებს შეუწყობს ხელს. ჩვენ გვინდა, რომ ეს სივრცე იყოს მათთვის კომფორტული, განსხვავებული სასკოლო გარემოსგან, სადაც მხოლოდ სასკოლო მერხი და სკამი არ დახვდებათ, არამედ - კომფორტული სივრცე, სადაც ექნებათ წვდომა არა მხოლოდ ლიტერატურასთან, არამედ სათანადო ტექნოლოგიებთან. თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესი ამის გარეშე ბავშვებსაც ვერ წარმოუდგენიათ, - აღნიშნა ბათუმის პირველი სკოლის დირექტორმა ნატალია მგელაძემ.

ხულოს რესურსცენტრის დირექტორის ედუარდ მიქელაძის თქმით, მაღალმთიანი აჭარის სკოლების ნაწილში ბიბლიოთეკარები საერთოდ არ არიან. ასევე აღნიშნული მიმართულებით არსებობს არაერთი გამოწვევა, რომლის შესახებაც მათ ინფორმაცია მიაწოდეს საკანონმდებლო ორგანოს მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტს:

- მიმაჩნია, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების კომიტეტმა საჯარო სკოლებში ბიბლიოთეკების მდგომარეობის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო კვლევები ჩაატარა. გავეცანით შედეგებს და საჭიროებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მივაწოდეთ მათ, რაც თითოეულმა მუნიციპალიტეტმა მოგვაწოდა. ამ ეტაპზე არის გარკვეული სკოლების რაოდენობა, სადაც რეალურად არ გვყავს ბიბლიოთეკარები, ასევე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილეთ ყურადღება. ვფიქრობთ, ერთობლივი მუშაობით შეგვიძლია არსებული პრობლემების დროულად გადაჭრა, - აღნიშნა ედუარდ მიქელაძემ.

უმაღლესი საბჭოს მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, მთავარი გამოწვევა მოზარდების წიგნით დაინტერესებაა, რისთვისაც საჭიროა, შეიქმნას თანამედროვე სივრცეები. დავით ბაციკაძემ ბიბლიოთეკარების ანაზღაურების გადახედვაზეც გაამახვილა ყურადღება:

- ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ბავშვი დავაბრუნოთ ბიბლიოთეკებში, საამისოდ კი ყველა პირობა შევქმნათ როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე იქ მომუშავე პერსონალისთვის. შეიქმნას ისეთი ტიპის სივრცეები, როგორიც ჯერჯერობით აჭარის საჯარო სკოლების მხოლოდ შვიდ პროცენტში გვაქვს. გვინდა ანაზღაურებაც შესაბამისი ჰქონდეთ ბიბლიოთეკარებს და ამ კუთხით გადაიხედოს საკითხი. ასევე, გვინდა, ახალგაზრდებში მეტი პოპულარიზაცია გავუწიოთ წიგნის კითხვას. თემატური მოკვლევისას ძალიან ბევრი პრობლემა და გამოწვევა გამოიკვეთა, შეხვედრების მიზანი კი ის არის, რომ ერთგვარად, შევაჯამოთ მოცემული მდგომარეობა და ვიმსჯელოთ გამოკვეთილი გამოწვევების მოგვარების მექანიზმებზე, - განაცხადა დავით ბაციკაძემ.

აღსანიშნავია, რომ შემდგომ ეტაპზე კომიტეტი შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას გეგმავს, რომლებიც საბოლოოდ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეგზავნება.

აღნიშნულ საკითხზე უმაღლესი საბჭოს დარგობრივმა კომიტეტმა თემატური მოკვლევა 2022 წლის მაისიდან დაიწყო.

# საპატრიარქომ მედიისთვის რეგულაციების დაწესება გადაწყვიტა

***საპატრიარქო ჟურნალისტებისთვის თავის კუთვნილ ტერიტორიაზე რეგულაციებს აწესებს და აცხადებს, რომ ეს მისი კანონიერი უფლებაა. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებზე, ეს აკრედიტაციის წესის გამოყენებასაც გულისხმობს, - ამის შესახებ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა***

ჯაღმაიძემ ხაზი გაუსვა, რომ ბოლო წლებში საქართველოში არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას იმდენი წინააღმდეგობა არ შექმნია მედიის წარმომადგენლებისგან, როგორც ქართულ სამოციქულო ეკლესიას.



„14 ოქტომბერს ხმაური იყო სვეტიცხოვლის ეზოში. თქვენ ნახეთ დღეს კადრები, როგორ მივედით, რა უძღოდა ამას წინ. რამდენიმე მაგალითი გაჩვენეთ და სრულიად საკმარისია. გავიხსენოთ მარტვილის რეზიდენციაში შეჭრა, შემდეგ ეკლესიისთვის დაბრალების მცდელობა, თითქოს მღვდლებმა გადმოყარეს ჟურნალისტები. ასევე მარტვილის ტაძარში ჩაშლილი მსახურება; კიკეთში მოვარდნა მსახურების წინ, მონაზვნებთან თითქმის სახლში შევარდნა, შტურმი კარებთან. მივედით იქამდე, რომ სვეტიცხოვლობა დღეს, ტაძრის ეზოში, როდესაც წირვა აღასრულა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მისი აღსაყდრებისა და დაბადების დღის მოახლოებული საიუბილეო თარიღების წინ, ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტი სასულიერო პირებს ბანდიტებს უწოდებს. ცალკე სათქმელია, რომ ტელევიზიების ნაწილს, სვეტიცხოვლობა, როგორც საზეიმო მოვლენა, არც კი გაუშუქებიათ. მთლიანი ორიენტირი მიმართული იყო ეკლესიისა და დღესასწაულის დაკნინების კუთხით, რომლის ფარგლებშიც, აქტიურად წამოიწია სვეტიცხოვლობის წინა დღეს მოგონილი, პატრიარქის გადადგომის მოლოდინის სკანდალის საკითხი. სამწუხაროდ, დროდადრო ამ თემის სხვადასხვა ფორმით რეინკარნაცია ტელევიზიებისთვის ყურადღების მიქცევის ერთ-ერთ საშუალებად იქცა. თითქმის ყოველ წელს ხდება ხოლმე, ვიღაც იტყვის მონაჭორს, რაზეც ერი მთელი კვირა ფიქრობს.

ბოლო მოვლენები ცხადყოფს, რომ ჟურნალისტების მხრიდან ხშირად ხდება სასულიერო პირებისთვის ინტერვიუზე მიმართვა მსახურების წინ. სასულიერო პირის უარი კი, ჟურნალისტის გაღიზიანების საფუძველი ხდება. თავის მხრივ, სასულიერო პირისთვის არსებითი მნიშვნელობისაა ტაძარში წირვაზე აუღელვებლად შესვლა, საზეიმო მსახურებისთვის შეუფერებელი, დაძალებული, ჩქარი ნაბიჯით შესრულებული პრესკონფერენციის რიტუალის გარეშე. ცალკე აღსანიშნავია, რომ საპატრიარქო პატივს სცემს ნებისმიერ ჟურნალისტს, მედიასაშუალებას და მათ საქმიანობას. შესაბამისად, გამოყო ცალკე სივრცე, სადაც შეეძლოთ ჟურნალისტებს, ყველა მედიასაშუალებას, რომ დაეკავებინათ მათთვის განკუთვნილი ადგილი. მიუხედავად ამისა, სვეტიცხოვლობა დღეს, „ფორმულას“ და „მთავარი არხის“ ჟურნალისტებმა უარი განაცხადეს, დაეკავებინათ მათთვის გამოყოფილი სივრცე. გალია უწოდეს, თითქოს სხვა უწყებებში სხვანაირი ბარიერები არსებობს. მეტიც, მათ განაცხადეს,რომ სასულიერო პირებს აქვთ თმენის ვალდებულება, თუნდაც წირვის წინ სასულიერო პირებისგან ინტერვიუს აღების დაჟინებულ მცდელობას ჰქონდეს ადგილი. ყველასთვის ცნობილია, რომ სხვა ნებისმიერ უწყებაში ან დიდ ღონისძიებაზე ჟურნალისტები დგებიან იქ, სადაც გამოყოფილია მათთვის შესაბამისი სივრცე. ამის უფლება აქვს იმ უწყებას, რომელიც ამ სივრცის მესაკუთრე ან მფლობელია. ამავე დროს, ყველა ტაძრის უმთავრესი დანიშნულება, პირველ რიგში, საღმრთო მსახურების აღსრულების უზრუნველყოფაა“, - განაცხადა ჯაღმაიძემ.

დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა, რომ საკუთრების უფლება საპატრიარქოს საკუთარ ტერიტორიაზე ქცევის წესების განსაზღვრის შესაძლებლობას ანიჭებს.

„ჟურნალისტური საქმიანობა შეიძლება, განხორციელდეს იმ აუცილებლობის მიხედვით, რაც შეუფერხებელ საღმრთო მსახურებასა და მსახურებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას გულისხმობს. ყოველივე ზემოთქმულიდან და ასევე გამომდინარე იქიდან, რომ მედიასაშუალებათა ზოგიერთი წარმომადგენელი არ იზიარებს საპატრიარქოს მიდგომას, შესაბამისად, არ იცავს წესრიგს, რომელიც ეფუძნება კანონს, საპატრიარქოში მიღებულია გადაწყვეტილება, ვისარგებლოთ კანონიერი უფლებით, მსგავსად სხვა უწყების და ორგანიზაციებისა, მედიის წარმომადგენლებისთვის დავაწესოთ ვითარების შესაბამისი რეგულაციები საპატრიარქოს კუთვნილ სივრცეებში, რაც საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში, განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებზე, აკრედიტაციის წესის გამოყენებასაც გულისხმობს. საკუთრების უფლება ანიჭებს საპატრიარქოს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს თავის ტერიტორიაზე ქცევის წესი. მით უმეტეს, თუ აღნიშნული წესი ეხება საკითხის მოწესრიგებას. ამდენად, საპატრიარქო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, რის საფუძველზეც წინასწარ აცნობს საზოგადოებას, მედიას ცალკეული რეგულაციების თაობაზე. თითოეული რეგულაცია მიმართული იქნება საღმრთო მსახურების სათანადო წესით ჩატარების უზრუნველსაყოფად. გარდა იმისა, რომ ტაძრის შინაგანაწესის დაცვით აუცილებელია, რომ ჟურნალისტმა დაიკავოს მედიისთვის გამოყოფილი ადგილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რიგ შემთხვევებში საპატრიარქო დაიტოვებს უფლებას, გააკონტროლოს დასწრების საკითხი“, - განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ.

მოამზადა
მარი მიდასელმა

# დაინიშნება თუ არა აშშ-თან პირდაპირი ფრენები?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ვინც მგზავრობს აშშ-დან საქართველოს მიმართულებით და პირიქით, ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ დაინიშნება პირდაპირი მიმოსვლა. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობისთვის და უფრო მეტად დამაკავშირებელი ხიდი აშშ-სა და საქართველოს შორის. მანძილის გამო ხშირად რთულია ამერიკელების დარწმუნება, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში, მაგრამ ერთხელ თუ ჩამოვლენ, მათ კვლავ გაუჩნდებათ აქ ჩამოსვლის სურვილი, პირველ რიგში, აქაური ხალხის სტუმართმოყვარეობის გამო, - ეს განცხადება საქართველოში ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა გააკეთა და დასძინა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება კიდევ უფრო მჭიდროს და საინტერესოს გახდის ორ ქვეყანას შორის კავშირს. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და აშშ-ს შორის ფრენებზე საუბარი წელიწად-ნახევრის წინ დაიწყო, თუმცა კორონავირუსის გამო შეჩერდა. ელჩის განცხადებით აღნიშნული მიმართულებით სასურველია მხარეებს შორის მოლაპარაკებები განახლდეს და განხორციელდეს ის სიახლე, რაზეც ორივე სახელმწიფო გამოთქვამს მზაობას. სიახლეს მიესალმებიან ქართველი ემიგრანტები. მიხეილ ყიფშიძის თქმით, რომელიც წლებია ნიუ იორკში ცხოვრობს და ცდილობს, ორ წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოვიდეს საკუთარ ქვეყანაში, ამბობს, რომ პირდაპირი ფრენების დანიშვნა იქნება დიდი შეღავათი მისთვის.



- ძალიან გამიხარდება, თუ დაიწყება პირდაპირი ფრენები და საქართველოში ჩამოსასვლელად აღარ მომიწევს რამდენიმე ქვეყნის გავლით ფრენა. ვთვლი, რომ ამით დავზოგავთ თანხასაც და პირველ რიგში, ენერგიას. სხვადასხვა აეროპორტში გადასვლა ტვირთით, დამეთანხმებით, არ არის იოლი. მივესალმები ამერიკის ელჩის ამ განცხადებას. ეს მართლაც, იქნება ორი ქვეყნის კიდევ უფრო დაახლოების შესაძლებლობა. ვფიქრობ, უფრო ხშირად ჩამოვლენ საქართველოში ამერიკელები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოიხიბლებიან ჩვენი ქვეყნით, აქაური ავთენტური გარემოთი და ადათ-წესებით, რომლითაც დღევანდლამდე მოვდივართ და გვეამაყება მთელ მსოფლიოში, - გვითხრა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა.

# ეკონომიკური სანქციები – რუსეთზე ზემოქმედების ერთ–ერთი იარაღი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

**ევრაზიის კონტინენტზე გეოპოლიტიკური უპირატესობისთვის ბრძოლა თანდათან შეუქცევადი ხდება და წამყვანი ქვეყნების ინტერესები გახშირებულ კონფლიქტში პოულობს გამოძახილს. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთ-უკრაინის ომი, უფრო მართებულად თუ ვიტყვით, რუსეთის აგრესია სუვერენული ქვეყნის მიმართ, რამაც პლანეტა მესამე მსოფლიო ომის წინაშე დააყენა**

რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში პრაქტიკულად, აღმოსავლეთ ევროპა და მით უმეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნები კრემლის გავლენის ქვეშ მოექცევიან. ამ საშიშროების საწინააღმდეგოდ დასავლეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა: რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, მაგრამ ისმის კითხვა - რამდენად სახიფათოა მსოფლიოსთვის რუსეთის იზოლაცია და ახალი სანქციები რამდენად ეფექტური იქნება მასზე ზემოქმედებისთვის?




მსოფლიოს არ ახსოვს ასეთი მძლავრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ, რამაც გარკვეულწილად, შედეგი უკვე გამოიღო: რუსული რუბლი გაუფასურდა, რუსეთი დატოვეს მეგა კომპანიებმა... „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ გაუქმდა. გარდა ამისა, ამერიკამ უარი თქვა რუსული ნავთობის შესყიდვაზე, რაც რუსეთის ეკონომიკას კიდევ უფრო დააზარალებს. გრძელვადიან პერიოდში ეს სანქციები მკვეთრად გააუარესებს რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან ის აისახება არა მხოლოდ სამთავრობო პოლიტიკაზე, არამედ თითოეული მოქალაქის ჯიბეზე. ამან შესაძლოა, ქვეყანაში ქაოსი და ანარქია გამოიწვიოს და რუსეთი დეზინტეგრაციის წინაშე დააყენოს. დასავლეთში კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთის იზოლაცია საფრთხის მომტანია მსოფლიოსთვის. პრობლემა უფრო მასშტაბურია, რუსეთი ცდილობს, მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ ზესახელმწიფოა და არა ის, რაც იყო მე-20 საუკუნის 90-ანი წლებიდან თუნდაც 2000 წლამდე. იგი, ასე ვთქვათ, შეეგუა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში, თუმცა მას შემდეგ, რაც ნავთობპროდუქტების შემოსავლებით გაძლიერდა, კრემლმა ბრჭყალები გამოაჩინა. ჯერ ჩეჩნეთში ორი ომი აწარმოა, ქვეყანაში ყველანაირი დემოკრატიული ინსტიტუტი გაანეიტრალა და მასმედიაზე კონტროლი დაამყარა, ოპოზიცია დაადუმა და ა. შ. დასავლეთი ყველაფერ ამას ეგუებოდა, მხოლოდ ფორმალური შენიშვნებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა მთელი უკრაინის დაპყრობა განიზრახა, გამოფხიზლდა და კრემლს თავისი ძალა დაანახა...

ექსპერტები მართებულად აცხადებენ, რომ კარგად გათვლილი და ამოუცნობი სანქციებია დაწესებული, რაც რუსეთს საშუალებას არ აძლევს გააცნობიეროს, რა უნდა გააკეთოს მისი აღმოფხვრისთვის. სანქციებმა მეტწილად გაამართლა. მაგალითად, დასავლური სანქციების შედეგად რუსულ კომპანიებს დიდი პრობლემები ექმნებათ. ექსპერტთა თქმით, რუსეთმა ამ სანქციების შედეგად 200 მილიარდი დოლარის ზარალი მიიღო. რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ წარმოებული ომის გამო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ჯერ კიდევ 2014 წლის გაზაფხულიდან დაიწყეს. პირველივე სანქციებით, შავ სიაში შეიყვანეს რუსული ენერგოკომპანიები, ასევე მსხვილი ბანკები... ეს შავი სია პერიოდულად იზრდებოდა... ენერგო და საბანკო სანქციების შემდეგ ჯერი სამხედრო სფეროზეც მიდგა... კრემლის აპოლოგეტები აცხადებენ, რომ ეს სანქციები არაეფექტურია, რადგან რუსეთი ზესახელმწიფოა და მისი მარაგი ამოუწურავია. ზესახელმწიფოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსეთი რომ აგებს ომს უკრაინაში, ცხადია, ისიც აშკარაა, რომ კრემლი არ იმჩნევს, თუმცა ფაქტია, რომ დაწესებული სანქციები მის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს. ცნობილია, რომ რუსეთის მთავარი საყრდენია გაზი, ნავთობი და იარაღი. სანქციები სამივე მიმართულებით უკვე ამოქმედდა და არის მოლოდინი, რომ აშშ-ის ეს ბოლო სანქციები (მეშვიდე ეტაპი) მოსკოვს სერიოზულად დააზარალებს. დეკლარირებული არ არის, მაგრამ სანქციების მომდევნო ეტაპი (ანუ ზეეტაპი) უნდა გულისხმობდეს რუსეთის სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციას, რასაც, როგორც ექსპერტები აცხადებენ, აუცილებლად უნდა მოჰყვეს რეალური შედეგები. სანამ აქამდე მივალთ, მანამდე დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთის მიმართ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ, მოსთხოვონ ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, დნესტრისპირეთის, ყირიმის და აღმოსავლეთ უკრაინის) დეოკუპაცია. თუ რუსეთის აგრესია მეზობლების მიმართ დაუსჯელი დარჩა, არ არის გამორიცხული, კრემლმა ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც შეუტიოს, რუსეთისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი...

დღეს ეს დაუჯერებლად ჩანს, მაგრამ 2014 წლამდე არც უკრაინის მიმართ აგრესიას და ყირიმის ანექსიას დაიჯერებდა ვინმე. ვის სჯეროდა რუსეთის საქართველოში შემოჭრის 2008 წლამდე? ამ სცენარის თავიდან აცილება მხოლოდ დასავლეთის მხრიდან ქმედითი ზომების გატარებითაა შესაძლებელი, რაც უნდა აისახოს როგორც რუსეთის პოლიტიკურ ელიტაზე, ისე მის ეკონომიკაზე. ეს რუსეთს შემდგომი აგრესიის რესურსებს დააკარგვინებს. როგორც ჩანს, დასავლეთმა გაიაზრა, რომ თუ აგრესორს ამჯერადაც არ მოთოკავს, მსოფლიო რეალურ საფრთხეში აღმოჩნდება. რუსეთისთვის ყველაზე კარგი პასუხი იქნებოდა, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ ანალიტიკოსები.

დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: აშკარაა, რომ დაწესებული სანქციები რუსეთის ეკონომიკაზე მწვავედ მოქმედებს. ექსპერტთა აზრით, ეს სანქციები, პირობითად, კიდევ ორი წელი რომ გაგრძელდეს, შესაძლოა ისეთი სურათი მივიღოთ, როგორც საბჭოთა კავშირის იმ პერიოდში, როცა წითელი იმპერია დასავლური ემბარგოს გამო საგრძნობლად ჩამორჩა დასავლურ ქვეყნებს. კარგად გვახსოვს, რომ ეს საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. ამ მხრივ წნეხი რუსეთის მიმართ სულ უფრო ძლიერდება. თითქმის ყველა დასავლელი ლიდერი რუსეთის პირველ პირს აკრიტიკებს და მოუწოდებს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას უკრაინის წინაშე, ანუ ომის დასრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვი, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთისგან გარიყული აღმოჩნდება. სხვათა შორის, თვით ტაჯიკეთის პრეზიდენტმაც გააკრიტიკა რუსეთის ლიდერი. განაცხადა, რომ რუსეთმა პატივი უნდა სცეს სუვერენულ ქვეყნებს. ამ განცხადების მოსმენამ პუტინი აშკარად გაამწარა, ეს მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამ მიმართებით საინტერესოა რას მოიმოქმედებს კუთხეში მიმწყვდეული რუსეთი? ექსპერტები ამ საკითხზე საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ. მაგალითად, დასავლელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ პუტინს შესაძლოა სამხრეთ კავკასიაში „წესრიგის დამყარების“ სურვილი გაუჩნდეს, მით უფრო, რომ ეს მისთვის ნაკლებად სარისკო იქნება, ვიდრე ახალი საბრძოლო მოქმედებების გაგრძელება უკრაინაში, სადაც რუსის ჯარი მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ პუტინმა იმიჯის შესანარჩუნებლად, როგორც რუსული სამყაროს პატრიოტმა, კავკასიასა და შუა აზიაში გარკვეული ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტოს, რასაც სხვათა შორის, მოსკოვი უკვე ახორციელებს, კერძოდ, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის ინტეგრაციის ხელშეკრულება გაფორმდა, ასევე - აფხაზეთთან, რაც ამ რეგიონების მასთან შეერთების აშკარა მცდელობაა. ფაქტია, რუსეთი არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, აღნიშნული სანქციები კი სწორედ მის საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში დაბრუნებისთვისაა მიმართული. ანალოგიურ შეხედულებას ახმიანებენ პოლიტოლოგებიც.

„დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთი და აშშ ერთმანეთს დააპირისპირა. ამ მხრივ აშშ კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. კერძოდ, მას სურს ტვირთი აკიდოს რუსეთს, შეზღუდოს შემოსავლების მიღება საერთაშორისო ბაზარზე, ეს ყველაფერი კი უარყოფითად მოქმედებს რუსული ეკონომიკის ეფექტურობაზე“, - ამბობს პოლიტოლოგი გელა ირემაძე. ანალოგიური შეხედულებისაა ეკონომიკის მაგისტრანტი არჩილ ბერიძე. „რუსული აგრესია უკრაინის მიმართ ძალიან დიდია, დასავლური სამყარო ყველაფერს აკეთებს, რომ უკრაინას მხარში დაუდგეს და პუტინის აგრესია მაქსიმალურად შეამციროს. დასავლეთს ჰქონდა ორი არჩევანი - გაეგზავნა ჯარი უკრაინაში, ან დაეწესებინა სანქციები. ვნახეთ, რომ დასავლეთმა აირჩია მეორე გზა, რისი მიზანიც არის რუსეთის ეკონომიკის დაზარალება, მოკლევადიან პერიოდში ვნახეთ, რომ ამ სანქციებმა რუსეთის ეკონომიკა დააზარალა, გრძელვადიან პერსპექტივაში კი კიდევ უფრო უარყოფით შედეგს გამოიღებს რუსეთისთვის, ამ უკანასკნელს მოუწევს უარი თქვას აგრესიაზე და წავიდეს დათმობაზე“...

მსოფლიო აცნობიერებს, რომ რუსეთი სახიფათო გახდა დასავლეთისთვის, არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ყველანაირად ცდილობს გავლენის მოპოვებას სამეზობლოში და ესწრაფვის ახალი საბჭოთა კავშირის მსგავსი იმპერიის ჩამოყალიბებას, ამიტომ თუ დასავლეთს სურს ნატოს წევრ ქვეყნებსაც არ შეექმნას საფრთხე, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები კიდევ უფრო უნდა გაამკაცროს, და ამავდროულად საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მიიღონ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რაც ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტის დაცვის საუკეთესო საშუალება იქნება.

*თითქმის ყველა დასავლელი ლიდერი რუსეთის პირველ პირს აკრიტიკებს და მოუწოდებს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას უკრაინის წინაშე, ანუ ომის დასრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვი, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთისგან გარიყული აღმოჩნდება. სხვათა შორის, თვით ტაჯიკეთის პრეზიდენტმაც გააკრიტიკა რუსეთის ლიდერი. განაცხადა, რომ რუსეთმა პატივი უნდა სცეს სუვერენულ ქვეყნებს. ამ განცხადების მოსმენამ პუტინი აშკარად გაამწარა*

## უცხოეთი

დარწმუნებული ვარ, ყველა მოკავშირე მოახდენს ფინეთისა და შვედეთის ნატოში შესვლის პროტოკოლების რატიფიცირებას, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. „მივესალმები იმ ფაქტს, რომ ფინეთი და შვედეთი თურქეთთან მემორანდუმის შესრულებაზე მუშაობენ, რომელზეც ისინი მადრიდის სამიტის დროს შეთანხმდნენ“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა. მისივე განცხადებით, მალე თურქეთში ვიზიტს გეგმავს, რათა პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდეს და მასთან ამ პროცესის დასრულება განიხილოს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სკეპტიციზმი გამოხატა ვლადიმერ პუტინის სიტყვების მიმართ, რომ რუსეთი უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენებას არ აპირებს. „თუ მას ასეთი განზრახვა არ აქვს, რატომ აგრძელებს ამაზე საუბარს? რატომ საუბრობს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე?“ - განაცხადა ბაიდენმა. ვლადიმერ პუტინმა ამ დღეებში განაცხადა, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებით არ იმუქრება და მან მხოლოდ დასავლელი ლიდერების ბირთვულ „შანტაჟს“ უპასუხა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი სოჭში, 31 ოქტომბერს სამმხრივ მოლაპარაკებებს გამართავენ, - ამის შესახებ რუსული მედია კრემლის პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება. მათივე ცნობით, შეხვედრა რუსეთის ინიციატივით გაიმართება. კრემლში აცხადებენ, რომ მხარეები განიხილავენ რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების 2020 წლის 9 ნოემბრის, 11 იანვრისა და 2021 წლის 26 ნოემბრის შეთანხმებების რეალიზაციის პროცესს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისთვის საჭირო შემდგომ ნაბიჯებსა და სავაჭრო, ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების აღდგენისა და განვითარების საკითხებს.

* * *

რუსეთი არ აპირებს გახდეს ახალი ჰეგემონი, არამედ უბრალოდ იცავს თავისი არსებობისა და თავისუფალი განვითარების უფლებას. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. მისი თქმით, მსოფლიო წესრიგის ახალ ცენტრებსა და დასავლეთს მოუწევთ საერთო მომავალზე საუბარი. „მე ყოველთვის მჯეროდა და მჯერა ამ საღი აზრის ძალის, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის ახალ ცენტრებსაც და დასავლეთსაც მოუწევთ თანაბარი საუბრის დაწყება ჩვენთვის საერთო მომავალზე. რაც უფრო ადრე, მით უკეთესი, რა თქმა უნდა“, - განაცხადა პუტინმა.

* * *

ევროკავშირმა 17.5 მილიარდი ევროს ოდენობის რუსული აქტივი გაყინა. ამის შესახებ ევროკომისიის წარმომადგენელმა კრისტიან ვიგანდმა განაცხადა. საუბარია 1 350 პირისა და ორგანიზაციის აქტივებზე, რომლებიც ევროკავშირის სასანქციო სიებში არიან. ვიგანდის თქმით, გაყინული რუსული აქტივების უდიდესი ნაწილი გერმანიაზე, ბელგიაზე, საფრანგეთზე, ლუქსემბურგზე, ირლანდიაზე, იტალიასა და ავსტრიაზე მოდის.

მოამზადა
ია შველიძე

# „ხალხის ძალა“ ჩამოყალიბების პროცესშია“

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

*ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე* ***ოთარ ხარაძე*** *იმათ შორისაა, ვინც ამ დღეებში „ხალხის ძალას“ თანადგომა გამოუცხადა. იგი ჩვენი სტუმარია.*



**- ბატონო ოთარ, რა იყო წინაპირობა, რამაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობა გადაგაწყვეტინათ?**

- ადამიანებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათი პრობლემების გათავისება და ინტერესების დაცვა, პრობლემატური წინადადებების ხელისუფლებამდე მიტანის სურვილი იყო ის წინაპირობა, რამაც მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმიყვანა.

**- მმართველმა პარტიამ მეორედაც გამოგიცხადათ ნდობა და დანდალოს თემის მაჟორიტარად წარგადგინათ. პირველ ტურში საკმარისი ხმა ვერ მოაგროვეთ, ამომრჩეველი მეორე ტურში გენდოთ, მათი ნდობის პასუხად რა გააკეთეთ?**

- ძალიან ბევრი. მე მქონდა ყველას მხარდაჭერა. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არის ის გუნდი, რომელიც ორიენტირებულია მოქალაქეების ინტერესების დაცვაზე, რამაც მომცა საშუალება, ჩემი გამოცდილების გათვალისწინებით, წვლილი შემეტანა მათი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში.

**- რამდენად ხართ ჩართული იმ პროგრამებსა და პროექტებში, რომლებიც 2023 წლისთვის იგეგმება?**

- მუდმივად ჩართული ვარ ყველა პრობლემის განხილვაში, რომელიც ეხება ჩემს სამაჟორიტარო ოლქს და არამარტო სამაჟორიტარო ოლქს, მთლიანად მუნიციპალიტეტს. ძირითადად, ესაა ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით მოქალაქეების ხელშეწყობა და სხვა. სულ მალე ადგილობრივ ბიუჯეტს დავამტკიცებთ, რაშიც მაქსიმალურად ჩავერთვები.

*„ - „ხალხის ძალის“ მიზანია, შეძლებისდაგვარად ავირიდოთ საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ქვეყნის ინტერესების დაცვას, ასევე თანხვედრაშია ჩვენი ამომრჩევლის ინტერესებთან*

**- ამ ეტაპზე მთავარ გამოწვევად რას მიიჩნევთ?**

- მთავარ გამოწვევად რჩება ინფრასტრუქტურული მიმართულება, წყალმომარაგება, მოქალაქეთა დასაქმება, ადგილობრივი რესურსების ათვისება, ტურისტული პოტენციალის გაზრდა, სიღარიბის დაძლევა.

**- დანდალოს თემის სოფლებში ისევ პრობლემად რჩება სარწყავი წყლის ნაკლებობა, საამისოდ რას აკეთებთ?**

- წლებია, დანდალოს თემის სოფლებში სარწყავი წყლის პრობლემაა, დაგეგმილია ძველი სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია-მოწესრიგება და მდინარე აჭარისწყლიდან წყლის საქაჩი სისტემის მოწყობა.

**- ხარაულა, ჯალაბაშვილები, მოსიაშვილები, დანდალო, გოგიაშვილები, ბალაძეები ის დასახლებული ტერიტორიებია, სადაც ფერმერული მეურნეობები კარგადაა განვითარებული. რას ჰპირდებით ამომრჩეველს პროდუქციის რეალიზაციის მხრივ?**

- მოსახლეობიდან ნამეტი პროდუქტების რეალიზაციისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადგილზე შეიქმნას კოოპერატივისმაგვარი მისაღები პუნქტები, რომლებიც შეიძენენ ნამეტ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რაც მწარმოებელს სასიკეთოდ წაადგება.

**- დანდალოს თემში ევროკავშირის, სხვა დონორი ორგანიზაციების თანადგომით, რამდენიმე ტურისტული ადგილი გაჩნდა. სამომავლოდ რა ხედვა გაქვთ ამ მიმართულებით?**

- დანდალოს თემში შეიქმნა სამი ახალი ტურისტული ლოკაცია: თამარის ხიდთან - კვების ობიექტი, სოფელ დანდალოში - კოტეჯების კომპლექსი, სოფელ დანდალოს ჩანჩქერზე - ჩასასვლელი ბილიკები და საპიკნიკე ადგილები. მომავლისთვის ვგეგმავთ ყალივაკესა (ტაკიძეების ციხე) და კავიანის ციხის მიმართულებით მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწყობას, დონორი ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას.

**- იმ თაობის წარმომადგენელი ხართ, რომელმაც ქედაში, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, საფუძველი ჩაუყარეთ სახალხო დღესასწაულებს. წელს ეს წამოწყება რა ფორმატით იმართება?**

- ათეული წლების წინ დაარსდა დღესასწაული „შემოდგომა ქედაში“, რომელიც ტრადიციულად გრძელდება. აღნიშნულ დღესასწაულზე ხდებოდა ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ადგილობრივი ეთნოგრაფიისა და კულინარიის დემონსტრირება. წელს დამატებით დაგეგმილია ღვინის ფესტივალის ჩატარება, სადაც იგეგმება ადგილობრივი ღვინის პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას. ტრადიციულად, გაიმართება ღირსეული ქედელების დაჯილდოება.

**- ამ დღეებში 200-მდე პიროვნება „ხალხის ძალას“ შეუერთდა. მათ შორის თქვენც ხართ. რა ინტერესმა მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე?**

- ვადასტურებ ჩემს გაერთიანებას „ხალხის ძალის“ რიგებში, რაც ჩემი თავისუფალი არჩევანია.

**- ეს გადაწყვეტილება რამდენად სასარგებლო იქნება ამომრჩევლისათვის?**

- „ხალხის ძალის“ მიზანია, შეძლებისდაგვარად ავირიდოთ საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ქვეყნის ინტერესების დაცვას, ასევე თანხვედრაშია ჩვენი ამომრჩევლის ინტერესებთან.

**- მაჟორიტარს საკრებულოში თანამდებობა გიკავიათ. შეინარჩუნებთ?**

- ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**- პოლიტიკაში მოსვლამდე ქედელები საუკეთესო ექიმად გიცნობდნენ. რამდენად უფრთხილდებით ამ სტატუსს?**

- ვუფრთხილდებოდი პოლიტიკაში მოსვლამდე და დღესაც ასეა. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემთვის უპირველესი იქნება.

**- „ხალხის ძალის“ რიგებში გადასვლის შემდეგ კოლეგების მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლით?**

- მათ მიმართ გაწონასწორებული ვიყავი და ვარ, ნებისმიერ პოზიციაზე ასეთივე დავრჩები.

**- იმ ქართველ ბიჭებზე რას იტყვით, რუსეთ-უკრაინის ომს რომ ემსხვერპლნენ?**

- ყველა მეომრის ქმედება დასაფასებელია, რომელიც იბრძვის სამართლიანობის, დემოკრატიის და მსოფლიო ერების დასაცავად.

**- ეროვნული მოძრაობიდან მოდიხართ. ქვეყნის ხელისუფლების მიდგომას უკრაინისადმი როგორ აფასებთ?**

- ეროვნული მოძრაობის მიზანი გახლდათ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ პროცესებს მიჰყვება ახლანდელი ხელისუფლებაც. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირველებმა გავუღეთ უკრაინელებს კარი, გავხსენით უკრაინული სკოლები, ვეხმარებით ჰუმანიტარულად. ომში ქვეყნის ჩართვას არც მე ვუჭერ მხარს.

**- „ხალხის ძალის“ დამფუძნებელთა ინტერესები რამდენადაა თანხვედრაში ხელისუფლების საქმიანობასთან?**

- „ხალხის ძალა“ ამ ეტაპზე ჩამოყალიბების პროცესშია.

# საქართველოს, თურქეთის და რუმინეთის თანამშრომლობით

**ნანა აბულაძე 591 98 59 17**

„შავი ზღვის გეოგრაფიული აღნიშვნების ქსელი“ - ასე ჰქვია საერთაშორისო პროექტს, რომლის შედეგების პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ 27 ოქტომბერს გაიმართა. პროექტი „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრის“ მიერ 2020-2022 წლებში განხორციელდა და მის მიზანს პროექტის პარტნიორ შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ადგილწარმოშობის პროდუქტების შესახებ ინფორმირების გაზრდა, მათი პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

- პროექტი საკმაოდ საინტერესო იყო ჩვენი რეგიონისთვის. ზოგადად, გეოგრაფიული აღნიშვნები, ადგილწარმოშობის პროდუქტების მიმართულება შედარებით ახალია ჩვენი ქვეყნისთვის და ამის შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებული როგორც მწარმოებლები, ისე საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს მრავალი საინტერესო და უნიკალური პროდუქტი ამ ეტაპზე, საქპატენტში მხოლოდ 62-ია რეგისტრირებული, არადა, საერთაშორისო ბაზარზე ადგილწარმოშობის პროდუქტების რეგისტრაციას, სტანდარტების დაცვას და მათ წარმოქმნას დიდი ყურადღება ექცევა, რადგან გეოგრაფიული აღნიშვნა და რეგისტრაცია ზრდის ცნობადობას, საშუალებას იძლევა, გაცილებით მაღალ ფასად გაიყიდოს პროდუქტი. პროექტის განხორციელებამ სხვადასხვა დადებითი შედეგი მოიტანა. კერძოდ, გაიზარდა გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის პროდუქტების, მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერება, შესაბამის თემატიკაზე ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია (120 მონაწილე), პრომოუშენის მიზნით შეიქმნა შესაბამისი გვერდები, ტურისტულ სეზონზე (აგვისტო) გაიმართა ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა და ა. შ. ადგილობრივი მეწარმეების კომპეტენციის და უნარების გაძლიერების მიზნით, გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის პროდუქტების და ელექტრონული კომერციის შესახებ ხუთდღიან ტრენინგში 100 მეწარმე მონაწილეობდა. გაცვლითი ვიზიტების მეშვეობით მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების და, ასევე, რამდენიმე ადგილობრივი ასოციაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ რუმინეთში, თურქეთში, საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც გაეცნენ იქაური ადგილწარმოშობის პროდუქტების წარმოების წარმატებულ მაგალითებს. შედგა შეხვედრები ამ სფეროში რეგულირებისა და სტანდარტიზაციის ინსტიტუტებთან, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, - განაცხადა ორგანიზაცია IBDIPC-ის თავმჯდომარე ზვიად ელიზიანმა.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის ENI შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, სამი ქვეყნის ორგანიზაციების (საქართველო, თურქეთი, რუმინეთი) თანამშრომლობით.



# „ახალი მომენტია, ცვლილების ქარია“



ახლა სწრაფი ცვლილებების დროა დასავლეთ ბალკანეთსა და ევროპაში, - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ბოსნია-ჰერცეგოვინაში ვიზიტისას.

„როგორც იცით, ჩვენ დავიწყეთ გაწევრიანების მოლაპარაკებები ალბანეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიასთან. ჩვენ ასევე მივეცით კანდიდატის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვას, ვაღიარეთ საქართველოს ევროპული პერსპექტივა. ახლა ახალი მომენტია, ცვლილების ქარია, რომელიც ევროპულ ოჯახს აახლოებს“, - აღნიშნა ფონ დერ ლაიენმა. მისი თქმით, დროა, ბოსნია და ჰერცეგოვინაც „წინ წავიდეს“.

„გულწრფელები ვიყოთ: ერთი წლის წინ შეუძლებელი ჩანდა, ვერ ვიფიქრებდით, რომ კანდიდატის სტატუსს მივაღწევდით. და მაინც, დღეს აქ ვარ თქვენთან ერთად სარაევოში. ჩვენ შეგვიძლია თქვენი მიღწეული კანდიდატის სტატუსი აღვნიშნოთ“, - განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

**ამირან გურიელიძე**

# კიევის ენერგეტიკული ობიექტები უკვე დაცულია (!)



უკრაინის დედაქალაქის მერ ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, საჰაერო თავდაცვის ახალი აღჭურვილობა უკვე კიევშია.

„თათბირი იყო სამხედროებთან, რომელზეც აქცენტი გავაკეთე, რომ ენერგომომარაგების ობიექტები უნდა დავიცვათ. ამას ყურადღება მიაქციეს. სამხედროებმა დამარწმუნეს, რომ საჰაერო თავდაცვის ახალი აღჭურვილობა უკვე ჩამოვიდა დედაქალაქში და ცა უფრო დაცული იქნება. ვიმედოვნებთ, რომ კამიკაძე-დრონით და რაკეტებით თავდასხმები და პროვოკაციები აღარ იქნება“, - განაცხადა კლიჩკომ.

კიევის მერმა ასევე აღნიშნა, რომ დედაქალაქში ენერგომომარაგების მხრივ ვითარების დასტაბილურებას 2-3 კვირა დასჭირდება.

**ამირან გურიელიძე**

# „ჯიგარი“ დედიკოდან – ნარკომანი შვილის დედობამდე

ხატია იაშვილი 555 18 48 88



„არ ვიცი, ჩემი ამბავი როგორ დავიწყო. როდესაც ჩემი შვილი 17 წლის იყო, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, პირველად შევამჩნიე მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ რომ იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი არ ვუთხარი, რადგან არ მინდოდა ჩემს ქმარს გაეგო და მასთან ეჩხუბა. აი, აქ დავაშავე. ალბათ, იფიქრა, რომ კარგს აკეთებდა და მავნე ჩვევას ინტენსიური სახე მიეცა. მე წავახალისე, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მაშინდელ საქციელს ახლა ასე ვაფასებ. მალე სტუდენტი გახდა და სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. ფინანსურად ძლიერი ოჯახი გვქონდა, ამიტომ არაფერს არ ვაკლებდით, ის თურმე ყოველ საღამოს კლუბური ნარკოტიკით იბრუებდა თავს. ერთ საბედისწერო ღამეს საპატრულოდან დაგვირეკეს და გვითხრეს, თქვენი შვილი საავადმყოფოშია, მოაკითხეთო. ვიფრინეთ, ისეთი სისწრაფით ჩავედით დანიშნულების ადგილას. იქ ჩემი ერთადერთი შვილი, კლუბური ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზის მიღების გამო, სიცოცხლეს ებრძოდა. სამი დღე კომაში იყო. მაშინ გადავრჩით და დავიჯერე, რომ ერთხელ გასინჯა და მისმა ორგანიზმმა ვერ მიიღო. მეუღლემ სწავლა მიატოვებინა და სახლში წამოვიყვანეთ. აი, ერთად ცხოვრების დროს კი მივხვდით, რომ ჩვენი შვილი ნარკოტიკდამოკიდებული იყო. ჩავკეტეთ სახლში, მაგრამ დალეწა ყველაფერი, მაშინ გადავწყვიტეთ ექიმისთვის მიგვემართა. ორი კვირა სარეაბილიტაციო ცენტრში დავაწვინეთ. მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ გვყავდა. გამოვიყვანეთ ცენტრიდან, სამი თვე კარგად იყო. სწავლაც გააგრძელა. მეუღლემ ჩვენს ქალაქში გადმოუტანა საბუთები, მაგრამ სამი თვის შემდეგ ისევ ჭაობში ჩაეფლო. დღეს ერთადერთი ნარკომანი შვილის დედა ვარ. დღემდე კი თავს ვიდანაშაულებ, პირველად რომ შევამჩნიე, ხმა უნდა ამომეღო და „დამესაჯა“. ალბათ, დღეს ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა. მინდა, ყველა დედას მივმართო, არ გაჩუმდეთ, მიაქციეთ თქვენს შვილებს ყურადღება. დღეს ყველა ფეხის ნაბიჯზე შეიძლება ამ საშინელების შეძენა“, - გვიყვება ქალი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა. ბევრი ამოიცნობს ჩემში საკუთარ თავს, რადგან თაობა გვეღუპებაო, - თქვა.

რატომღაც როგორც ჩვენი რესპონდენტის შემთხვევაში, მარიხუანას და სხვადასხვა კლუბურ ნარკოტიკს მსუბუქად მოიხსენიებენ, თუმცა რასაკვირველია, მსუბუქი ნარკოტიკის ხშირი მოხმარების შემთხვევაშიც ჩნდება ტოლერანტობა და შემდეგ დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულების მოსასპობად კი აუცილებლად გაჩნდება მოთხოვნილება მძიმე ნარკოტიკების მიმართ. ამიტომ, ნარკოტიკული ნივთიერებების „მსუბუქად“ და „მძიმედ“ დაყოფა არასწორია.

შესაძლებელია თუ არა, მარიხუანის მოხმარება გახდეს მიზეზი უფრო მძიმე ნარკოტიკის მოხმარების? ექიმ-ნევროლოგ ირინა ურუშაძეს მიაჩნია, რომ - აუცილებლად.

- ეს არის პირველი ნაბიჯი იმ აკრძალული, საშინელი და დამღუპველი პროცესებისკენ, რომლებსაც ძალიან დიდი უბედურება მოაქვთ. თუნდაც კლუბური ნარკოტიკი, თუნდაც მარიხუანა - ეს არის გზა ჯოჯოხეთისკენ. მე ვფიქრობ, რომ ნარკოტიკი მსუბუქი არ არსებობს. ჩვენს თავის ტვინში, ნერვულ უჯრედთან კონტაქტობს და ფუნქციონირებს ნეირომედიატორის საშუალებით. ინფორმაცია ნეირონიდან ნეირონზე გადადის სინაფსში ნივთიერების გამოყოფით. მაგალითად, ერთ-ერთ ნივთიერებას ჰქვია დოფამინი. კლუბური ნარკოტიკი ასტიმულირებს დოფამინის გამოყოფას. კლუბური ნარკოტიკები შედიან ამფეტამინების ჯგუფში და მათგან ყველაზე გავრცელებულია ექსტაზი. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდ ძვრებს იწვევს თავის ტვინში ნარკოტიკი, რომ ჩვენს სინაფსურ ტერმინალებში, ანუ ნეირონისა და ნეირონს შორის კავშირის ადგილში გროვდება დოფამინი. როგორ შეიძლება ამას ზერელედ შევხედოთ და ვთქვათ, რომ ეს ნარკოტიკს არ მიეკუთვნება. ეს იმდენად პოლიფუნქციური გავლენაა, რადგან ჩვენ თავიდან ბოლომდე თავის ტვინით ვიმართებით, როგორ შეიძლება არაფრად ჩავაგდოთ. გარდა დოფამინისა, არის სეროტონინი, მას უფრო იცნობენ როგორც სიხარულისა და ბედნირების ჰორმონს. არის ოქსიტოცინი, მაგალითად, შვილები ოქსიტოცინით გვიყვარს. ვიღვიძებთ დოფამინით, სიამოვნების განცდა სეროტონინითა და დოფამინით გვაქვს. სწორედ მათი სტიმულირება ხდება ამფეტამინების გამოყოფის საშუალებით. სხვადასხვა გზებით, სეროტონინის, დოფამინის, ოქსიტოცინის დაგროვება იწვევს ჩვენში ეიფორიას, შიშის არარსებობას, გახსნილობას, აღარ გვაქვს პიროვნებათა შორის ინტერაქციის პრობლემა, ყველას ვედნობით, ითრგუნება ჩვენი ეგო, პიროვნება. ხომ გესმით, რა სიღრმისეულ ძვრებზე ვსაუბრობთ. შეგრძნებების გავლის შემდეგ იწყება ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთში მიმავალი კიბე, რომლის საფეხურიდან საფეხურზე ადამიანის ტანჯვაა. ეს საშინელებაა და დიდი ზიანია თავად ამ ადამიანისთვის, მისი ოჯახისთვის და სახელმწიფოსთვის. ხდება სრული პიროვნული დეზადაპტაცია. ადამიანს აღარ შესწევს ნორმალურად ცხოვრების უნარი. მას მუდმივად გარეგანი სტიმულირება სჭირდება. თუმცა, სტიმულირების შედეგადაც ვეღარ არის ადამიანი ადეკვატური. ჩვენ გარკვეული ჰომეოსტაზით, ჩვენი ნეირომედიატორების თანაფარდობით ვიბადებით, რომელიც ჩვენი ნორმალური აღქმის პროცესებში მონაწილეობს. აქ ჰომეოსტაზი ირღვევა. ადამიანს აღარ შეუძლია მამობა, დედობა, ქმრობა, ცოლობა - ირღვევა სოციალიზაციის ყველანაირი ხარისხი, - ხსნის ექიმი ნერვოლოგი ირინა ურუშაძე.

სტატისტიკურად მთელ მსოფლიოში კლუბურ ნარკოტიკებს სულ უფრო მეტი ახალგაზრდა იღებს. იცვლება თვით ამ ნივთიერებების შემადგენლობა და უფრო და უფრო რთული ხდება ახალი შემადგენლობების მონიტორინგი. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა არსებობს, ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გამოკვლეულია სწორედ იმიტომ, რომ ნარკოტიკების წარმოების უკანონო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და იცვლება, მეცნიერება კი ახალ-ახალი დიზაინის ნარკოტიკების გამოკვლევას ვერ ასწრებს: უფრო და უფრო რთულდება ასობით ახალი შემადგენლობის ნივთიერებების მონიტორინგი.

კლუბური ნარკოტიკების უმრავლესობა (მარიხუანის გარდა), თითქმის ყველა ქვეყანაში აკრძალულია, როგორც რეკრეაციული საშუალება, მათი ნაწილი კი დაშვებულია მხოლოდ სამედიცინო მოხმარების მიზნით, ექიმის დანიშნულებით (მაგ. ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ფენტანილი). მომხარებლებს მათი შეძენა არალეგალურად, შავ ბაზარზე უწევთ, სადაც შემადგენლობის გადამოწმების გზები შეზღუდულია.

როგორც გავარკვიეთ, ყველაზე პოპულარული კლუბური ნარკოტიკები ექსტაზი, კეტამინი, როჰიპნოლი უფრო და უფრო პოპულარული ხდება ახალგაზრდებში, რომლებიც მათ კლუბურ გარემოში, ელექტრონული მუსიკის ფონზე, გასართობად იღებენ. ნარკოტიკები მათ ცეკვისა და გართობის დროს ენერგიასა და ფიზიკურ გამძლეობას მატებენ, სოციალურად და სექსუალურად უფრო ღიასა და გამბედავს ხდის. კლუბური ნარკოტიკები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ქიმიური შემადგენლობითა და ფარმაკოლოგიური თვისებებით, ასევე, ჯანმრთელობაზე შესაძლო ზეგავლენით. მაგალითად MDM (ასევე ცნობილი, როგორც ექსტაზი, X, E, XTC, ან მოლი) ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკლუბო ნარკოტიკია მთელ მსოფლიოში, რომელიც 29 მილიონი ადამიანის მიერ გამოიყენება რეგულარულად (რა თქმა უნდა, ეს რიცხვი გაცილებით მაღალია, თუ არარეგულარულ მომხმარებლებსაც ჩავთვლით). MDMA-ს მიღება იწვევს ერთგვარ ეიფორიას, ზრდის ემპათიას და მუსიკასა და კლუბში გამოყენებულ განათებას უფრო სასიამოვნოს ხდის, რადგან ადამიანის შეგრძნებებს ამძაფრებს.

ამ ნარკოტიკის მიღებას თავისი გვერდითი ეფექტებიც აქვს: სხეულის ტემპერატურის მატება, კონკრეტული კუნთოვანი ნაწილების იმპულსური მოძრაობა, გაზრდილი ოფლიანობა, დეჰიდრატაცია.

სხეულის ტემპერატურის მატება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკფაქტორია, რადგან ის შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს ადამიანისთვის.

ასევე, ექსტაზის გამოყენებას შეიძლება თან ახლდეს დაუცველი სექსუალური კავშირი და გაუპატიურების რისკი, რადგან უამრავი შემთხვევა არსებობს, როცა ამ ნარკოტიკს სექსუალური ძალადობისთვის გამოიყენებენ.

მეორე პოპულარული ნარკოტიკი (თუმცა ნარკოტიკად არ მოიხსენიებენ), როგორც ჩემი რესპონდენტისგან გავიგე, არის პოპერსი, რომელიც ინჰალაციური საშუალებაა და ამავდროულად ლეგალურიცაა, გამოიყენება შეგრძნებების გასამძაფრებლად. მისი უარყოფითი მხარეებია: გულის შეტევის რისკი, სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები, თვალების დაზიანების რისკი და სიბრმავე. მისი ხშირი მიღება, ასევე, იწვევს ნერვული სისტემის აშლილობას. ჩვენ სწორედ ამ მედიკამენტის შედეგებზე გვესაუბრა 35 წლის გიორგი, რომელსაც ჯანმრთელობის მხრივ რიგი პრობლემები აქვს. „მოკლედ, ჩემი ისტორიაც ბანალურია. მეგორებთან ერთად ჯერ პლანს ვეწეოდი, შემდეგ კლუბურ ნარკოტიკს ვიღებდი, დროთა განმავლობაში ვხვდებოდი, რომ მანდილოსნებისთვის აღარ ვიყავი სასურველი პარტნიორი, რაც მედიკამენტების ბრალი იყო, ამიტომ ნარკოტიკთან ერთად რეგულარულად ვიღებდი პოპერსს და აი, ახლა, როგორც მიყურებთ, მხედველობა თითქმის არ მაქვს. გულის შეტევით ბევრჯერ მოვხვდი რეანიმაციულ განყოფილებაში, მაგრამ გადავრჩი, თუმცა ყოველ ჯერზე ვხვდებოდი, რომ ჯანმრთელობა მერყეოდა. უბრალოდ, თავს ვეღარ ვანებებდი, ყველანაირ ნარკოტიკს ვიღებდი. დღეს 35 წლის ვარ და უკვე „მოვხუცდი“. სისხლძარღვების და მხედველობის პრობლემებით მიჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება. ახლა ვხვდები, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ ადრე ჩემი თავი ყველაზე მაგარი ტიპი მეგონა. თუ ახლა ჩემს ინტერვიუს ვინმე კითხულობს და ჯერ კიდევ დრო აქვს, შეჩერდეს! მომავალს იღუპავს, არადა, საუკეთესო მომავალი მექნებოდა, კარგად ვსწავლობდი. არავის აჰყვეთ, იმუშავეთ, საუკეთესო ჩაიცვით, მიირთვით და დატკბით ოჯახური ბედნიერებით“, - გვითხრა გიორგიმ.

მართლაც, ფხიზელი თვალით უყურეთ ცხოვრებას და დატკბით ყოველი დღით. ამით ჯანმრთლობასაც მიხედავთ და გარშემომყოფებსაც გააბედნიერებთ. ყოველთვის ეცადეთ, ნარკოტიკის ერთხელ გასინჯვას მეორე აღარ მოჰყვეთ, თორემ უკვე მავნე ჩვევაზე დამოკიდებული გახდებით.

არა - ნარკოტიკს! ნარკოტიკი კლავს! ამას ტყუილად არ გვასწავლიდნენ ჯერ კიდევ სკოლის მერხებთან.

*„ჩემი ისტორიაც ბანალურია. მეგორებთან ერთად ჯერ პლანს ვეწეოდი, შემდეგ კლუბურ ნარკოტიკს ვიღებდი, დროთა განმავლობაში ვხვდებოდი, რომ მანდილოსნებისთვის აღარ ვიყავი სასურველი პარტნიორი, რაც მედიკამენტების ბრალი იყო, ამიტომ ნარკოტიკთან ერთად რეგულარულად ვიღებდი პოპერსს და აი, ახლა, როგორც მიყურებთ, მხედველობა თითქმის არ მაქვს. გულის შეტევით ბევრჯერ მოვხვდი რეანიმაციულ განყოფილებაში*

# ქართული კულტურის ფესტივალი




Erasmus პროგრამის ფარგლებში საქართველოს 12 სახელმწიფოს 100-ზე მეტი წარმომადგენელი სტუმრობდა. მათთვის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართა.

უნივერსიტეტის კანცლერ ექრემ დინდაროლის თქმით, სტუმრებს ქართული კულტურის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდათ.

- გადავწყვიტეთ, სტუდენტებს ქართული კულტურა, ტრადიციები და სამზარეულო ვაჩვენოთ. სპეციალურად მათთვის უნივერსიტეტის ეზოში ქართული კულტურის საღამო მოვაწყვეთ. სტუმრები კმაყოფილები არიან, - აღნიშნა კანცლერმა.

ESN Georgia-ს ეროვნულმა წარმომადგენელმა თამთა ჩხენკელმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, რომ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა აქტივობაში, მათ შორის, ხინკლის მოხვევაში, ქართული ცეკვის შესწავლაში... ყოველივე ამან საღამო კიდევ უფრო საინტერესო გახადა.

***ცნობისთვის:*** *შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული პლატფორმის (SEEP) საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. SEEP-ის შეხვედრის გახსნის ღონისძიებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული 100-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო.*

*SEEP-ის შეხვედრა ESN-ის ყოველწლიური ინიციატივაა, რომელსაც ორგანიზება ESN Georgia-მ გაუწია. შეხვედრის ორგანიზებაში 25 ქართველი ახალგაზრდა ჩაერთო. ინიციატივა სტუდენტებს ერთმანეთის გაცნობის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისა და უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას აძლევს.*

ამირან გურიელიძე

# სოფელი რომ არ დაცარიელდეს

***წელიწადის ნებისმიერ დროს მშვენიერი და მიმზიდველია სოფელი ბრილი. ერთ დროს იგი 150-მდე კომლს ითვლიდა. ახლა, ზამთარი დადგება თუ არა, მათი რაოდენობა 30-მდე ჩამოდის. თანასოფლელები მთელ ჭვანის ხეობაში, სოფელზე, ქვეყანაზე მოდარდე, ალალმართალ კაცად იცნობენ აქაურ რეზო ბოლქვაძეს, რაც მასთან საუბარშიც გამოჩნდა***



- 80 წელი უკან მოვიტოვე, ორ საუკუნეში მერგო შრომა და სათაყვანებელ ბრილში ცხოვრება. ჩვენი წინაპარი ქედის რაიონის სოფელ გობრონეთიდან იყო. სამი ძმა მალარიას გამოქცევია. ერთი ხაბელაშვილებში დასახლებულა, ერთი - ცეკვაში, ერთსაც საცხოვრისად ბრილი აურჩევია. ყველას შესანიშნავი, მშრომელი, სოფელზე, კუთხეზე შეყვარებული შთამომავლობა დაუტოვებია. წლების განმავლობაში სოფლის ბიბლიოთეკარი ვიყავი. მარტო მკითხველზე წიგნების გაცემით არ ვიყავი დაკავებული. ნოდარ დუმბაძის, ლადო მრელაშვილის, გურამ ფანჯიკიძის, გურამ დოჩანაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას დიდად ვაფასებ.

**- ჭვანელები იუმორით გამორჩეული ხალხია. საკუთარ თავზე რას გვეტყვით?**

- აქ ადამიანი იუმორთან მწყრალად ვერ იქნება. ზამთრის გრძელ ღამეებში ხან ერთ ოჯახში ვიკრიბებოდით, ხან - მეორეში. ახლანდელის მსგავსად ღვინოს, ალკოჰოლს არ ვეძალებოდით. სიცილ-ხარხარში, ტყუილ-მართალში მრავალჯერ კიდეც შემოგვათენდებოდა. ერთმანეთის ქილიკი, დაცინვა გამორიცხული იყო. განსაკუთრებული აქცენტი ზაფხულში მთებში გატარებულ კურიოზებზე გადაგვქონდა. ამ მხრივ ბადალი მუხამედ ტაკიძეს არ ჰყავდა. იუმორი ერთია, მისი სხვებთან მიტანა უფრო რთულია. საამისო ნიჭი რეჯებ ტაკიძეს ჰქონდა. შაქრო ტაკიძე ტყეში, პანსიონატებსა და რუსეთში „გადახდენილს" იბრალებდა. დიდი, კეთილი საქმე გააკეთეს დემურ ქათამაძემ და აკაკი ზოიძემ, „ჭვანელთა მუღამები და ოხუნჯობანი" წიგნის სახით რომ დაგვიტოვეს.

**- ის დრო გემახსოვრებათ, როცა ბრილში საავტომობილო გზა, დენი, სხვა ინფრასტრუქტურა სანატრელი იყო...**

- თავად ვარ მონაწილე, როცა თოხით, წერაქვით ჭვანა-ბრილის 8-კილომეტრიანი გზა გავიყვანეთ და სოფელში გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს „გაზიკის" მარკის მანქანა შემოვიდა. იმ წლებს ჩემი ქორწინება უკავშირდება, ამიტომ ყველა ფაქტი და სიახლე დღევანდელ დღესავით მახსოვს.

**- როგორც ვიცი, ოჯახი ადრეულ ასაკში შექმენით?**

- 20 წელსაც არ ვიყავი მიღწეული, როცა თანასოფლელ ფერიდე ზოიძეზე ვიქორწინე. მართალია, ოჯახური ტვირთი ადრეულ ასაკში მერგო, მაგრამ ახლა რომ ვაანალიზებ, საჭირო ყოფილა. მამაჩემი საუკუნეს მიახლოებული იყო, როცა უკანასკნელ გზაზე გავაცილე. 80 წლის ვარ. ფიზიკურად მუშაობა არ მიჭირს. 17 წლისა იყო რძალი ფატი ჭაღალიძე, როცა ინწკირვეთის საშუალო სკოლა დაამთავრა. მან და ჩემმა ვაჟმა თემურმა ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნეს. სიამტკბილობაზე, სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი აქვთ. ზოგიერთი მათი თანატოლი დაოჯახებაზე ახლა ფიქრობს. ისინი უკვე შვილიშვილს მოესწრნენ. მე თუ დამიჯერებთ, ნაადრევი სიკვდილია საძულველი, დანარჩენი, რასაც ცხოვრებას, წუთისოფელს გამორჩები, მომგებიანია. ფატი ოჯახში რომ შემოვიდა, ჩვენ - დედამთილ-მამამთილი გვერდით დავუდექით. უმაღლესი განათლება მიიღო. წლებია, ბრილის საშუალო სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. სერტიფიცირებული პედაგოგი პოლიტიკაშიც ბედს ცდის. იგი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი მოწვევის დეპუტატია, ხელმძღვანელობს საკრებულოს კომისიას, არის შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

**- სიყვარულით დაოჯახდით, თუ?**

- თანასოფლელები ვართ. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. გარიგებით შედგა ჩვენი ურთიერთობა, არცერთი წამით თვალს არ ვაშორებთ ერთმანეთს. 63 წელია, ერთად მოვდივართ, მთასაც ვამაგრებთ, ბარსაც, შვილებს, შვილიშვილებს სოფლის ნობათს არ ვაკლებთ. რძალი ყოველმხრივ მხარში გვიდგას. ადრეც და ახლაც მადლობას ვუხდით ინწკირვეთელ შაქრო ჭაღალიძესა და მის მეუღლეს, რომ ფატის მსგავსი შვილი გაზარდეს. სამსახურებრივი დატვირთვის, საზოგადოებრივი საქმიანობის მიუხედავად, ოჯახს ხელს არ აკლებს. სამი წელია, თამბაქოს მოვლა-მოყვანასაც ხელი მიჰყო. იყო წლები, როცა 10-12 მეწველი ფური გვყავდა. კიკიბოს მთაზე სახლი რომ ავაშენე, გულით უხაროდა. ზაფხულის არდადეგების პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებაში გვეხმარებოდა. ამ საქმეს არც ახლა დაზარდება. მისი მებრძოლი ხასიათი, ოჯახისადმი პატივისცემა, მეუღლისა და შვილებისადმი ერთგულება ყველა დედისთვის მისაბაძია. ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი გაზარდა. ვაჟს ჩვილობაში გარკვეული პრობლემები ჰქონდა. უცხოეთში, კერძოდ, უკრაინაში, სამკურნალოდ მარტოს მიყავდა. მისი როლი შვილების აღზრდაში განუსაზღვრელია.

**- რძლის კარგ ქალობას რომ აღიარებთ, კარგია, თუმცა მის წარმატებაში წვლილი თქვენც მიგიძღვით...**

- ბრილელები იუმორის, ფოლკლორის, სპორტული თამაშობების მოყვარულები ვართ. ცეკვა-სიმღერა მეც მეხერხება. ხშირად ფატი ფანდურს მოიმარჯვებს, მოსწავლეობისდროინდელ მუსიკალურ ნომრებს იხსენებს. სწავლობდა და გვერდით ვედექი, პოლიტიკაში წავიდა და წარმატებებს ვუსურვებ. დიდი დატვირთვის მიუხედავად, დედამთილ-მამამთილს გვპატრონობს, შვილებს ოჯახური საქმეები შეაყვარა. უფროსი ქალიშვილი ადიგენში გაათხოვა. ყველა ემადლიერება. ადამიანი ოჯახში თუ ვარგა, საზოგადოებაშიც თავს არ შეირცხვენს.

**- მთის სოფლები რომ არ დაიცალოს, რა რეცეპტს გვთავაზობთ?**

- ვთქვი, რომ ჩემი ოჯახის შექმნა, სოფელში პირველი ტრანსპორტის გამოჩენა ერთმანეთს დაემთხვა. მანამდე ცხენით, ზურგით მოტანილი ტვირთით საზრდოობდა აქაური კაცი. ახლა ისეთი ოჯახებიცაა, სადაც ორი და მეტი მსუბუქი ავტომანქანაა ეზოში გაჩერებული. ჩვენც, ერთი რომ დავაძველეთ, უფრო კომფორტულით ჩავანაცვლეთ. ჩემს ახალგაზრდობაში საშუალო სკოლა მხოლოდ ჭვანის ცენტრში იყო, ახლა ხეობაში საშუალო სკოლის სტატუსის მქონე 10-მდე საგანმანათლებლო კერა გვაქვს. ეს ხელისუფლება 15 მოსწავლეზეც საშუალო სკოლას ინარჩუნებს. გზაზე, რომელიც თოხითა და წერაქვით გამოვიყვანეთ, ბეტონისა და ასფალტის საფარი იგება. სოფელში ხეირიანი შენობა არ გვქონდა, რუსეთში მცხოვრები თანასოფლელი მურმან ტაკიძე წამოგვეშველა და შესაშური შენობა დავდგით. სოფელში ქართული სკოლის აღდგენის 90 წლის იუბილე გადავიხადეთ. მურმანის მსგავსად, ღონისძიებას სული შთაბერეს ლევან ტაკიძემ, ძმებმა ირაკლი და გიორგი ბოლქვაძეებმა, აკაკი და თემურ ზოიძეებმა. ჩემი თანატოლი, სოფლისთვის სათაყვანებელი პედაგოგი ეთერ გარაყანიძე გურიიდან მოვიპატიჟეთ. სკოლის შენობა ხისაა. ერთხანს შეაკეთეს. უკვე ახლის მშენებლობასაც გვპირდებიან. ასეთი თანადგომა იმედს გვაძლევს, რომ ბრილი არ დაცარიელდება. ადამიანს წლები რომ მოემატება, მშობლიური მიწისადმი ლტოლვა მოეძალებაო, იტყოდნენ და არ მჯეროდა. ეს უკვე საკუთარ თავზე გამოვცადე. ბრილის თიხას, სამთო ტურიზმის პოტენციალს ქვეყნის სამსახურში თუ ჩავაყენებთ, ამაზე უებარი რეცეპტი სოფლისთვის არ იქნება.

**- რატომ ჭიანურდება თიხის მარაგის ათვისების სამუშაოები?**

- ჯერ იყო და, ასლან აბაშიძემ წამოიწყო ამ სიმდიდრის ათვისების სამუშაოები. სოფლის მაშინდელი ხელმძღვანელის მიხეილ ზოიძის სახლი შტაბად იქცა. იტალიელი სპეციალისტებიც კი დაინტერესდნენ ბრილის თიხის ხარისხით და მაღალი შეფასება მისცეს. ახლა ლია კასპელიშვილი გვპირდება რაღაცებს. პატარა საამქროც ააგეს. მგონი, ხელისუფლების ჩარევის გარეშე საქმე სისრულეში ვერ მოვა. ბრილის თიხა, პირველ რიგში, ბრილელი კაცის კეთილდღეობას თუ არ მოხმარდება, საქმე წინ ვერ წაიწევს. ნედლეულიც აქ გადამუშავდეს და მზა პროდუქცია სოფლიდან ისე გავიდეს.

**- მუშახელი?**

- სპეციალისტები, ამ ეტაპზე, საძებარი არ გვყავს. მუშახელიც არ იქნება პრობლემა, აღარც სოფელი დაცარიელდება. შვილი ჯემალი ცნობილი ოსტატია. ისიც ჩაერთვება თიხის მოპოვება-გადამუშავებაში. მეც იმედი მომეცემა, რომ ნაშრომნაამაგარი ნასახლარად არ გადაიქცევა. დღემდე ყველაფერს გულიანად, ხალისით ვაკეთებდი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ბრილი დაცარიელების საფრთხის წინაშე დადგებოდა.

# შემაჯამებელი შეხვედრა

***ქვეყნის მასშტაბით დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის" პროექტის - „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი - ძლიერი დემოკრატიისთვის" ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. წელს პროექტში 10 საპილოტე მუნიციპალიტეტის საკრებულო იყო ჩართული, მათ შორის შუახევისაც***

ამ დღეებში შუახევის მუნიციპალიტეტს ეწვია პროექტის - „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი - ძლიერი დემოკრატიისთვის" მენეჯერი კონსტანტინე კილურაძე. იგი შეხვდა საკრებულოს წევრებს, იმ სოფლების ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ პროექტში არიან ჩართულნი.

საკრებულოს წევრებმა ფატი ჭაღალიძემ, ვახტანგ ფუტკარაძემ, როსტომ ლორთქიფანიძემ, თენგიზ ივანაძემ პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინეს და ისაუბრეს ამომრჩევლების მიერ წამოჭრილი პრობლემების შესრულებაზე, რომლებიც ეხებოდა სოფლების ცენტრების კეთილმოწყობას, ქალთა დასაქმებას, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, კერძოდ, თამბაქოს რეალიზაციას, სოფლად მცირე საწარმოების მშენებლობას, კულტურის კერების ამოქმედებას.

კონსტანტინე კილურაძემ ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის სრულყოფაზე, ამომრჩეველსა და მის არჩეულ საკრებულოს წევრს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარების თაობაზე.

- პროექტი განსაკუთრებით ქალთა როლისა და მათი დასაქმებისთვის მიზნობრივ მუშაობას გულისხმობს, რაც მისასალმებელია, - გვითხრა ფატი ჭაღალიძემ.



# პროექტის «ჩვენი ჯარის» წარდგინება

***ოფიცერი გიორგი მარუაშვილი 13 წლის იყო, როცა მისი ოჯახი აფხაზეთიდან ლტოლვილად იქცა. მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში, სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა ავღანეთში. ამჟამად თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი ბრიგადის ოფიცერია***

მან და ამავე ბრიგადის კაპრალმა თამარ გორგილაძემ დაბა შუახევს ჩანჩხალოს, ნიგაზეულის საჯარო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებს პროექტები «ჩვენი ჯარი» წარუდგინეს.

წარდგინებაზე საუბარი იყო იმ საბრძოლო მზადყოფნაზე, რაც ამ ეტაპზე ქართულ ჯარშია. მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს ორგანიზატორებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.



შუახევის საჯარო სკოლის დირექტორმა, საქართველოს სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა.

- ღონისძიების მიზანი იყო თავდაცვის ძალების შესახებ ცნობადობის ამაღლება და სამხედრო სამსახურის მოტივაციის გაღვივება. ძალიან კარგი იყო მოსწავლეთა მხრიდან ჩართულობა. ყველაზე მეტად მისასალმებელია, რომ ახალგაზრდებში არის მოტივაცია, იყვნენ ქვეყნის მომავალი დამცველები, - გვითხრა გიორგი მარუაშვილმა.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# აჭარის შესახებ სტატიები – ებრაულ მედიაში

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, ისრაელის წამყვანი ბლოგერები და ჟურნალისტები, ბათუმის ტურისტული ღირსშესანიშნაობებისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერების შემდეგ, მტირალას ეროვნულ პარკს, ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, გონიოს ციხეს, ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და ქედას სტუმრობდნენ და აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მილიონობით გამომწერსა და მკითხველს უზიარებდნენ.

„რეგიონის შესახებ მომზადებული სტატიები და ბლოგები ებრაულ მედიაში, მათ შორის უმსხვილეს სამოგზაურო პლატფორმაზე LAMETAYEL და ყოველდღიურ გამოცემაში ISRAEL HAYOM ეტაპობრივად გამოქვეყნდება.

მედიატურის მონაწილეები რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით სტუმრობდნენ. ისრაელი აჭარისთვის მნიშვნელოვანი ტურისტული მიმართულებაა, საიდანაც ტურისტებისა და ფრენების რაოდენობა რეგიონში ყოველწლიურად მზარდია",-აღნიშნულია ინფორმაციაში.

**ამირან გურიელიძე**

# სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებები

**ქეთევან კილაძე 593 73 45 74**

***სუსხიანი, ნესტიანი ამინდები ანთების სეზონს განსაზღვრავს. სასუნთქი გზები ყველაზე მეტად «ხელმისაწვდომია» ანთებისთვის შემოდგომა-ზამთრის სეზონზე. დღეს ბრონქიტსა და პნევმონიაზე ვისაუბროთ***



**ბრონქიტი**

ხველა ორგანიზმის თავდაცვითი რეაქციაა, მეტად საჭირო რეფლექსი, რომლის წყალობითაც სასუნთქი სისტემა მავნე ნაწილაკებისა და მიკრობებისგან თავისუფლდება. სასუნთქ სისტემაში მიმდინარე პათოლოგიური პროცესებიც უპირატესად ხველით ვლინდება. პირველი დაავადება, რომელიც ხველასთან ასოცირდება, ბრონქიტია. ხველა ნახველით მისი ერთ-ერთი მთავარი სიმპტომია.

ბრონქიტი არის მწვავეც და ქრონიკულიც. მწვავე ბრონქიტი რამდენიმე დღეში უკუგანვითარდება, თუმცა ხველამ შესაძლოა რამდენიმე კვირაც გასტანოს. ქრონიკული ბრონქიტი კი ხშირად მთელი ცხოვრება აწუხებს ადამიანს.

მწვავე ბრონქიტს უმეტესად გრიპისა და გაციების გამომწვევი მიკრობებით ინფიცირება უდევს საფუძვლად. ეს მიკროორგანიზმები ხველის, ცემინებისა და ფიზიკური კონტაქტის საშუალებით ვრცელდება. მწ. ბრონქიტი შესაძლოა განვითარდეს თამბაქოს კვამლის რეგულარული ზემოქმედების და ჰაერის დაბინძურების ფონზე. იშვიათად მას ბაქტერიებიც იწვევს.

მწ. ბრონქიტის დროს ინფექცია ცხვირიდან ან ყელიდან იწყება და თანდათანობით მიიწევს ქვემოთ. ინფექციასთან ჭიდილის შედეგად შუპდება და სქელდება ბრონქების ლორწოვანი გარსი. სწორედ ეს იწვევს ხველას. ზოგჯერ ხველა მშრალია, უფრო ხშირად კი სველი, რასაც თან სდევს ხიხინი, სტრიდორი, ქოშინი, გულმკერდში მოჭერის შეგრძნება. მწ. ბრონქიტი დროებითი უსიამოვნებაა და სუნთქვის ხანგრძლივ დარღვევას თითქმის არ იწვევს, თუმცა ბავშვებთან, მოხუცებთან, ქრ. დაავადების მქონე პირებთან იმუნური სისტემის სისუსტის შემთხვევაში ბრონქიტი შესაძლოა ფილტვების ანთებასა და სუნთქვის უკმარისობაში გადაიზარდოს.

ქრონიკული ბრონქიტის შედეგია გახანგრძლივებული ხველა, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდება და წელიწადში ორჯერ მაინც გახსენებთ თავს. ამ დროს მუდმივი ანთებითი პროცესი ბრონქების ლორწოვანი გარსის შეშუპებას, გასქელებას და ლორწოს მეტისმეტად ჭარბ გამომუშავებას იწვევს, რასაც საბოლოოდ სუნთქვის გაძნელებამდე მივყავართ. ქრ. ბრონქიტი ხშირად მძიმე პათოლოგიის - ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების ნაწილია.

ნებისმიერი ტიპის ბრონქიტის განვითარების რისკი უფრო მაღალია, როცა პაციენტი თამბაქოს მოიხმარს ან ალერგიულია. ბავშვებთან ქრ. ბრონქიტის განვითარების ალბათობას გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადება და რესპირატორული ინფექციებით ხშირი ავადობაც ზრდის.

ბრონქიტის დიაგნოსტიკა ძნელი არ არის, მთავარია, არ გამოგვეპაროს პნევმონია, რომელსაც მსგავსი ნიშნები ახასიათებს, რისთვისაც ფილტვების რენტგენოლოგიური კვლევა ტარდება.

მწ. ბრონქიტი უმეტესად თავისით გაივლის, გვეხმარება დასვენება, სითხეების მიღება და სიმპტომური მკურნალობა. ანტიბიოტიკები ინიშნება მხოლოდ მაშინ, როცა ბრონქიტი ბაქტერიული წარმოშობისაა.

ბრონქიტის პროევენცია ინფექციის პრევენციას გულისხმობს - ხელების ხშირი დაბანა, პირადი ჰიგიენის დაცვა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისთვის თავის არიდება საგრძნობლად შეამცირებს სასუნთქი გზების ინფიცირების რისკს, ასევე - გრიპის ყოველწლიური ვაქცინაციაც. თამბაქოზე უარის თქმა კი ქრონიკული ბრონქიტის პრევენციის საუკეთესო გზაა.

**პნევმონია**

ანუ ფილტვების ანთება იწვევს ფილტვების სტრუქტურული ერთეულების - ალვეოლების სითხით ან ჩირქით ავსებას. ნორმაში ისინი ჰაერით უნდა იყოს სავსე. პნევმონიის სიმპტომები სწორედ ჰაერის სითხით ჩანაცვლების შედეგია. პნევმონიის ძირითადი ნიშნებია ხველა ნახველით, სუნთქვის გაძნელება, გულმკერდის ტკივილი, ცხელება, ძლიერი სისუსტე, ოფლიანობა, ზოგჯერ გულისრევა, ღებინება და დიარეც კი.

პნევმონიის ძირითადი გამომწვევი ბაქტერიებია, რომლებიც უპირატესად აქტიურდებიან გრიპისა თუ გაციების შემდეგ დასუსტებულ ფილტვებში. ბაქტერიული პნევმონია ხშირად ცალ ფილტვს აზიანებს.

პნევმონიის მიზეზად შესაძლოა ვირუსი მოგვევლინოს, რომელიც სასუნთქ სისტემას ესხმის თავს, თუმცა ვირუსულ პნევმონიას მსუბუქი მიმდინარეობა ახასიათებს და ხშირად თავისით გაივლის. პნევმონიას სოკოც იწვევს, უპირატესად, დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებში. არსებობს ასპირაციული პნევმონიაც, რომელიც საკვების, ნერწყვის, სითხისა და პირნაღები მასის სასუნთქ გზებში გადაცდენის შედეგად ვითარდება.

**პნევმონიის რისკფაქტორებია:**

65 წელზე უფროსი და 2 წლამდე ასაკი - ამ დროს იმუნური სისტემა შედარებით სუსტია და ადვილად ნებდება ინფექციებს;

დაბინძურებული გარემო - მტვერთან, ქიმიკატებთან, ტოქსიკურ კვამლთან რეგულარული კონტაქტი ფილტვებს ინფექციებისადმი უფრო მგრძნობიარეს ხდის;

მავნე ჩვევები, თამბაქოს, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება ააქტიურებს ინფექციის გამომწვევებს;

დასუსტებული იმუნური სისტემა - აივ-ინფექცია, შიდსი, ორგანოს გადანერგვა, ქიმიოთერაპია, სტეროიდების ხანგრძლივი გამოყენება და სხვა ფაქტორები, რომლებიც იმუნიტეტს აქვეითებს, პნევმონიის განვითარების ალბათობასაც ზრდის.

ბაქტერიული ანთების დროს მკურნალობაში ერთვება გამომწვევის მგრძნობელობაზე გათვლილი ანტიბიოტიკი, ასევე, ინიშნება სიმპტომური მკურნალობა. ზოგჯერ საჭირო ხდება ოქსიგენოთერაპიაც.

# სკაუტინგი – შესაძლებლობების უწყვეტი გზა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**



საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა **შორენა ლომაძემ** სკაუტურ სამყაროში ფეხი 26 წლის წინ შედგა და მას შემდეგ ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია იქ საქმიანობის გარეშე. ამბობს, რომ სკაუტინგი აძლევს წარმოუდგენელ შესაძლებლობებს, ძალას, რომლითაც შეუძლია სიხარული მიანიჭოს სხვას, დაეხმაროს ახალგაზრდებს საკუთარი, ჯერ კიდევ შეუცნობელი უნარ-ჩვევების და ნიჭის აღმოჩენა-რეალიზებასა და იმ საოცარ ლაბირინთებში მოგზაურობაში, რომელიც სკაუტურ ცხოვრებას ახლავს.

- როცა აჭარაში სკაუტური ორგანიზაციის დაფუძნება გადავწყვიტეთ, რთული დრო იყო, გაურკვეველი, თუმცა, კარგი ადამიანების დახმარებით, დიდი ენთუზიაზმითა და შრომით შევქმენით და დღემდე ასე წარმატებულად მოვაღწიეთ. შევისწავლე სკაუტინგი და მივხვდი, რომ ეს არის ის, რაც სჭირდება ჩემს ქვეყანას, მომავალს. სწორედ, ეს არის ის საქმე, რომელშიც ვხედავ ჩემს ნამდვილ მეს, - გვითხრა შორენა ლომაძემ. მისი თქმით, ახალგაზრდებთან ერთად ყოველთვის მზად არის გამოწვევებისთვის.

- ძალა, რომელიც არსებობს ჯგუფში მუშაობის დროს, მით უმეტეს, როდესაც ჯგუფის წევრები ახალგაზრდები არიან, იძლევა სხვადასხვა წარმოუდგენელ შესაძლებლობას, აკეთო კეთილი საქმე. სკაუტური სამყარო, უდავოდ, საინტერესოა. მოგზაურობა ხომ ბევრს უყვარს, მაგრამ სკაუტური მოგზაურობა, მინდა დაგარწმუნოთ, ყველაზე მრავალფეროვანია და მოულოდნელობებით სავსე. სკაუტური ბანაკი, მით უფრო, საერთაშორისო, ეს არის კულტურების გაზიარების მთავარი ხერხი, აქ ეცნობი ხალხს, ეცნობი მათ ტრადიციებსა და ხასიათს, მეგობრობ და საკუთარი თავი ნამდვილი მსოფლიო მოქალაქე გგონია. ის ერთიანობა, რაც ამდენი წლის განმავლობაში სკაუტინგმა შექმნა, უძლიერესია. სკაუტინგი ჩემი ცხოვრებაა, ის მაძლევს შესაძლებლობას, ბედნიერება და სიხარული მივანიჭო სხვას, ამით კი მეც ვიყო ბედნიერი. სიკეთის კეთებით, სხვების დახმარებითა და ბავშვების, ახალგაზრდების მხარდაჭერით ვაღწევ ამ ბედნიერებას. ყველაფერს კი წლებია, უანგაროდ, ჩემი ქვეყნის სიყვარულით ვაკეთებ, - აღნიშნა შორენა ლომაძემ.

აჭარის სკაუტური ორგანიზაცია 26 წლის განმავლობაში მონაწილეობდა არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო ღონისძიებაში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბანაკში, ფესტივალებში, საქველმოქმედო აქციებში, შემეცნებით-გასართობ აქტივობებში. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა აქვს მოვლილი, ორგანიზაციას მონაწილეობა აქვს მიღებული სამ მსოფლიო ჯემბორში: ჩილეში, შვედეთსა და ინგლისში, ასევე, საფრანგეთის და კანარის კუნძულებზე გამართულ საერთაშორისო ჯემბორებში.

- ჩემს მთავარ დანიშნულებად მივიჩნევ ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩენას. ცხოვრების სამი წელი გავატარე კარავში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც მივიღე უდიდესი გამოცდილება და დღემდე ვცდილობ, ეს გამოცდილება გავუზიარო ახალგაზრდებს. საქართველოს დროშა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. არ მახსოვს მოგზაურობა, რომ ქართული დროშა და ყაბალახი არ წამეღოს. არ ყოფილა საერთაშორისო ღონისძიება და ბანაკი, სადაც ჩვენი ქვეყნის დროშა არ ამიწევია, ამ დროს სიხარულით სავსე და ძალიან ამაყი ვარ. საერთაშორისო ბანაკში ქართული ცეკვისა და სიმღერის დრო ხომ ჩემი საყვარელი მომენტია. მსოფლიოს ბევრჯერ ვაჩვენეთ ჩვენი კულტურა, რაც ცხოვრებაში ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია. ორგანიზაციის მეგობრების, თანადამფუძნებლების, ლიდერების, საპატიო წევრების, პარტნიორების, სხვადასხვა საერთაშორისო, მსოფლიო სკაუტური ორგანიზაციის პრეზიდენტებისა და ხელმძღვანელების თანადგომით, შევძელი გამეძლიერებინა და აღმეზარდა 8000-ზე მეტი ახალგაზრდა, რომელთაგანაც თითოეული მეამაყება. მათ, ვინც ჯერ არ არის სკაუტი, ვეტყვი, რომ ბედნიერი წუთები წინ აქვთ, დაუვიწყარი დღეები ელოდებათ, საოცარი მეგობრობა და შთამბეჭდავი მოგონებები, ემოციები და ექსტრიმი, გუნდურობა და თავგადასავლები, ფერადი დღეები და ნამდვილი „ცხოვრების გემოს" შეგრძნება. მომავალო სკაუტებო, გპირდებით დაუვიწყარ სიამოვნებასა და გამოცდილებას, რომელიც მთელი ცხოვრება გაგყვებათ და აუცილებლად გამოგადგებათ. მიმაჩნია, რომ მსოფლიოში არსებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ყველაფერს უნდა აკეთებდეს ბავშვების მშვიდობიანი მომავლისათვის, - გვითხრა შორენა ლომაძემ.

შპს „აჭარის ტსმც" აცხადებს

# აუქციონს

**შემდეგი არასაცხოვრებელი ფართის 2 წლის ვადით იჯარით გასაცემად:**

ცხრილი №1

| ლოტი | იჯარით გასაცემი ფართის დასახელება | გასაცემი ფართი (კვმ) | წლიური საიჯარო ქირა (ლარი) | „ბიჯი" (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბილეთის ფასი (ლარი) | | მისამართი (ადგილმდებარეობა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ფიზ. პირი | იურ. პირი | |
| 1 | არასაცხოვრებელი ფართი, ნახევრად კაპიტალური ორსართულიანი შენობა, პირველი სართული, ოთახი სათავსო (№1, 2) | 10,9 | 840 | 120 | 80 | 10 | 50 | ბათუმი, იმედაშვილის ქუჩა №8, სათავსო №1, 2 |

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე"-ს შენატანისა და აუქციონის მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებულ ასლს.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

შპს „აჭარის ტსმც" (ს/კ 245425366), ანგარიშის №GE38LB0113127013643OO, მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი ფასისა „ბიჯის" გათვალისწინებით).

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 2022 წლის 28 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, დილის 10 საათიდან საღამოს 16:30 საათამდე შპს „აჭარის ტსმც"-ს შენობაში (ბათუმი, იმედაშვილის ქუჩა №8).

აუქციონი ჩატარდება ამავე შენობაში 2022 წლის 15 ნოემბერს, 17:00 საათზე.

მობ. 593 360 988.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/10/22, 21 [05] სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „ძალიან მაგარი მუსიკოსები გაზარდა ბათუმმა, ზრდის და მჯერა, მომავალშიც გაზრდის“

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

*7 წლის იყო, როცა მშობლებმა მუსიკალურ სკოლაში ვიოლინოს შესასწავლად მიიყვანეს. მალევე აღმოაჩინა, რომ გიტარისკენ უფრო მიუწევდა გული. თვლის, რომ გიტარისადმი სიყვარული იმხელა ენერგიას აძლევს, რომ არასდროს გაუნელდება. ამბობს, რომ მუსიკა ღვთიურ თავისუფლებას ანიჭებს, რომლითაც შეუძლია მისწვდეს მსმენელის გულს, ფიქრს, ემოციას და არაერთი კითხვა გააჩინოს მასში. როგორც თავად ამბობს, გაუმართლა, რომ დაიბადა ოჯახში, სადაც მუსიკით სუნთქავენ, რომ არის ისეთი დიდი მუსიკოსის შვილი, როგორიც ვაჟა ტუღუშია. თავის შემოქმედებასა და გეგმებზე მუსიკოსი* ***გიორგი ტუღუში*** *გვესაუბრა.*

**- პირველ რიგში, გკითხავ, რას ნიშნავს იყო ვაჟა ტუღუშის - ძალიან დიდი მუსიკოსის შვილი?**

- როდესაც ცხოვრობ დიდ ადამიანთან, შესანიშნავ მუსიკოსთან ერთად, როდესაც მისი ცხოვრების ნაწილი ხარ, რაღაც პერიოდი ვერ აღიქვამ, ვერ აცნობიერებ როგორ გაგიმართლა. თუმცა, მერე და მერე, როდესაც ასაკი გემატება, როდესაც მუსიკაში პროფესიონალი ხდები, მეტად აფასებ იმ შესაძლებლობას და უნარებს, რასაც მამაჩემი აკეთებდა მაშინ, და აკეთებს დღესაც. ისეთ ასაკში მომიწია მუსიკასთან დაკავშირება, მართალი გითხრათ, ვერ აღვიქვამდი მამაჩემის სიძლიერეს, მისი მუსიკის სიმაღლეს. არ მქონდა იმის შიში და განცდა, რომ რაღაც არ გამომივიდოდა. უბრალოდ, ვაკეთებდი, რისი გაკეთებაც მინდოდა, თუმცა დღეს უკვე 27 წლის ვარ და კარგად ვაცნობიერებ, რამდენად დიდი როლი ითამაშა მამამ ჩემი მუსიკალური გემოვნების და, ზოგადად, ადამიანად ჩამოყალიბებაში. მიხარია და მეამაყება ვაჟა ტუღუშის შვილობა, მაგრამ იმის გააზრებაც მაბედნიერებს, რომ შევძელი, ადამიანებს ვუყვარდე როგორც გიორგი ტუღუში,



მუსიკოსი, რომელიც ყოველთვის ორიენტირებულია, შექმნას ღირებული მუსიკა და ის ემოცია, რასაც მუსიკაში დებს, ზუსტად მიიტანოს მსმენელამდე.

**- რა არის მუსიკა შენთვის?**

- ის ხელოვანი ადამიანისთვის ღვთიური საშუალებაა, თავისი სათქმელი, პროტესტი იქნება ეს, სიყვარული, თუ ნებისმიერი რამით ნაკარნახევი ემოცია, მუსიკის საშუალებით გამოუშვას ისე, რომ არავის ეჩხუბოს, არაფერი მოიპაროს, არავინ დააზარალოს. შემიძლია ყოველი დღის ემოცია მუსიკით გადმოვცე, გავიდე ჩემი სხეულიდან როგორც სული და ამ მდგომარეობას გარედან შევხედო, გავაანალიზო, რა მოხდა და რა ხდება ჩემს თავს. საბედნიეროდ, ხელოვან ადამიანებს გვაქვს იმის შესაძლებლობა, ყველა ემოცია მუსიკაში მოვაქციოთ, მუსიკით გავანგრიოთ ყველა ბარიერი, მუსიკით ვთქვათ ჩვენი სათქმელი, რომელიც ხანდახან შეიძლება გასაგები იყოს ვიღაცისთვის, ხანდახან კი სრულებით გაუგებარი.

**- როგორც ვიცი, ჯაზი არის ის მიმდინარეობა, რომელიც განსაკუთრებით გიყვარს...**

- ჯაზზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო, იმდენად მძლავრია მისი სიყვარული ჩემში. შეიძლება ითქვას, თანამედროვე ჯაზის ფანატიკოსი ვარ. ჩემი აზრით, ჯაზი არის მიმდინარეობა, სადაც, თუ შეაღწევ და ჩასწვდები, აღარ გესმის ის ხმაურიან მუსიკად. შინაგანად უნდა იცოდე, გრძნობდე თითოეული ბგერის შინაარსს, რათა მიიღო უდიდესი სიამოვნება. შეიძლება ითქვას, ჯაზი და კლასიკა არის მუსიკის მაცოცხლებელი გული და სული ჩემთვის.

**- მოგვიყევი ქალაქზე, რომელიც მრავალფერი ემოციით გავსებს.**

- ბევრჯერ მითქვამს: ბათუმის გარდა ჩემს თავს სხვაგან ვერსად ვხედავ, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ აქ თავს. მიმაჩნია, რომ ბედნიერება, რომელსაც ამ ქალაქში განვიცდი, საკმარისია ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსი ვარ და შეიძლება მომიწიოს სხვა გარემოებაში ჩემი სულიერების ძიება, მაინც ბათუმის გარდა ვერსად ვიცხოვრებდი ხანგრძლივი დროით. ამ ქალაქში ჩემთვის ძალიან დიდ როლს თამაშობენ ადამიანები, რომლებიც ქუჩაში გხვდებიან და გავსებენ პოზიტიური ენერგიით. ძალიან მუსიკალური და ფერადია ბათუმი და მე ის ძალიან მიყვარს. ძალიან მაგარი მუსიკოსები გაზარდა ბათუმმა, ზრდის და მჯერა, მომავალშიც გაზრდის.

**- როგორი უნდა იყოს ქალი, რომელიც აღგაფრთოვანებს?**

- ადამიანი, რომელთან ერთადაც ვიქნები და დავიმსახურებთ ერთმანეთის სიყვარულს, აუცილებლად უნდა იყოს გულწრფელი. არ ვფიქრობ, რომ გოგო, რომელიც ჩემ გვერდით იქნება, მაინცადამაინც მუსიკოსი უნდა იყოს. ის შეიძლება კარგი მათემატიკოსი იყოს, მაგრამ ვისურვებდი, ესმოდეს მუსიკა, გრძნობდეს, რას და რა ემოციით ვმღერი. ვფიქრობ, უფრო გამიადვილდებოდა ურთიერთობა, თუ მუსიკა გაგვაერთიანებდა. მართალია, ახლა არ ვარ შეყვარებული, მაგრამ როცა ვიყავი, მაშინ არაერთი კომპოზიცია შევქმენი და როცა რაღაც ნაღდი იქმნება, ის წარსულიდან აწმყოშიც კარგად მოქმედებს შენს მუსიკაზე. წარსულის ლამაზი ემოციები შეიძლება გახდეს იმის ინსპირაცია, რასაც ახლა და ამჟამად ქმნი.

**- გეგმები...**

- მომავალზე ფიქრები დიდ როლს თამაშობს ადამიანში, ხანდახან მეშინია კიდეც, თუმცა ეს ბუნებრივია, რადგან არ იცი, ხვალ რა გამოწვევის წინაშე დაგაყენებს ცხოვრება. ერთი ნამდვილად შემიძლია ვთქვა: ხვალაც, ზეგაც და სულ ჩემს თავს მუსიკაში ვხედავ. არაერთ საინტერესო სიახლეს ვპირდები ჩემს გულშემატკივარს მომავალში.



# შეხვედრა წარმატებულ ხელბურთელებთან

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

*გუშინ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მინდია ქათამაძე იმ წარმატებულ ხელბურთელებს შეხვდნენ, რომლებიც საქართველოს ხელბურთელების 18-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან*



ახლახან ამ ნაკრებმა გუნდმა (2004-2005 წლებში დაბადებული სპორტსმენები) ევროპის ზონაში ალბანეთთან, ბულგარეთთან, დიდ ბრიტანეთსა და კოსოვოსთან ერთად საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის ასპარეზობაში, გადამწყვეტი ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში, მასპინძლების კოსოვოელი თანატოლების დამარცხება შეძლო ანგარიშით - 27:22. ჯგუფში ოთხიდან ოთხივე თამაში მოიგო. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა და, ჩემპიონობასთან ერთად, მომდევნო ეტაპის საგზურიც მოიპოვა.

- ჩვენ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვმასპინძლობთ სპორტსმენებს და მწვრთნელებს, რომლებსაც განსაკუთრებული მიღწევები აქვთ სპორტში. ამჯერად შევხვდით საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების წევრებს აჭარიდან - ანრი აბულაძეს, თემურ ქამადაძეს, გივი ზაქარაძეს, ნუგზარ ტარიელაძეს, ნიკოლოზ შერვაშიძეს, რომლებმაც გუნდთან ერთად ევროპის კონტინენტზე გაიმარჯვეს და ჯგუფში პირველები არიან. კონტინენტზე იყო პირველი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მათ შემდეგ ეტაპზე - საკონტინენტთაშორისო შეჯიბრებაზე ეძლევათ საპრიზო ადგილის მოპოვების, მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი, რაც საქართველოს ხელბურთის ისტორიაში ამ ასაკის სპორტსმენებს შორის პირველი შემთხევვა იქნება. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს როგორც სპორტის პოპულარიზაციას, ასევე ზრდის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მოტივაციას და ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, - გვითხრა ბადრი ნაკაშიძემ.

შეხვედრას სპორტსმენებთან ერთად ესწრებოდნენ აჭარის რეგიონალური ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ ურუშაძე და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით ნიკოლაიშვილი. როგორც გვითხრეს, საგზური მათ საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ინტერკონტინენტალური თასის გათამაშებაში, სადაც ერთმანეთს ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის გამარჯვებული გუნდები შეხვდებიან. ეს თამაშები წლის ბოლომდე გაიმართება და ყველა კონტინეტზე პირველ ადგილზე გასული ექვსი გუნდი იასპარეზებს პლეიოფში, რომელიც მომავალი წლის მარტში გაიმართება. აქედან ყველაზე წარმატებული მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

სასიხარულოა, რომ ეროვნულ ნაკრებში აჭარის ნაკრების ხუთი სპორტსმენი თამაშობს. აჭარაში ხელბურთი სპორტის პოპულარული სახეობაა. ჩვენი ვაჟები ხუთი წელი ზედიზედ არ თმობდნენ უმაღლეს ლიგაში საქართველოს ჩემპიონობას, მხოლოდ გასულ სეზონში გავიდნენ მეორე ადგილზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ წელს მათ სეზონი გამარჯვებებით დაიწყეს და დიდი იმედი გვაქვს, ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს ისევ დაეუფლებიან (აჭარის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელები არიან ირაკლი სიხარულიძე და დავით ნიკოლაიშვილი, ქალთა ნაკრებისა - ეთერ შალამბერიძე).

- ევროპის ეტაპზე ოთხი თამაში გვქონდა და ოთხივე მოვიგეთ. ამჟამად საქართველოს ნაკრები ძალიან კარგ ფორმაშია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გუნდმა შემდეგ ეტაპზეც წარმატებით იასპარეზოს, - გვითხრა ნაკრების წევრმა ნიკოლოზ შერვაშიძემ.

- მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრები, ეს თითოეული სპორტსმენისთვის და მწვრთნელისთვის სტიმულის მიმცემია. მადლობა სამინისტროს თანადგომისთვის, - გვითხრა ზურაბ ურუშაძემ.

# კვარა საკასა და კამავინგაზე წინაა




საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ჟურნალმა FourFourTwo-მ მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელები დაასახელა. ბრიტანულმა გამოცემამ 21 წლის ან უფრო პატარა ასაკის 10 მოთამაშე გამოარჩია და მათ შორის ხვიჩა კვარაცხელიაც მოხვდა.

„2022 წლის ზაფხულამდე ბევრისთვის უცნობმა ხვიჩა კვარაცხელიამ მსოფლიო სცენაზე საკუთარი თავი სერია A-ში და, განსაკუთრებით, ჩემპიონთა ლიგაზე - „ლივერპულთან“, „აიაქსსა“ და „რეინჯერსთან“ ნაჩვენები ბრწყინვალე თამაშით წარადგინა. კვარაცხელია მაღალი, გრძელი და ძლიერი ფეხების მქონე ფეხბურთელია. მან მიმდინარე სეზონში ბევრი გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა და „ნაპოლის“ გრიგალისებურ სტარტში დიდი დამსახურება მიუძღვის.

მას მეტოქეებზე პირდაპირი შეტევის განხორციელება უყვარს და მათ ორთაბრძოლაში იწვევს, რომელსაც ან იგებს, ან, მეურვის ჩამოშორების შემდეგ, მას ჯარიმის აღებას აიძულებს. ქართველმა ფეხბურთელმა გვაჩვენა, რომ ორივე ფეხით თამაში შეუძლია, მაგრამ, ძირითადად, ურჩევნია, მარცხენა ფლანგიდან მოედნის ცენტრისკენ შეიჭრას და კარის მიმართულებით დაარტყას ან საჯარიმოში მყოფ თანაგუნდელებს პასები გაუკეთოს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში ინტენსივობაზეა ფოკუსირებული, ხვიჩა ჭკვიანურად თამაშობს და იცის, მატჩის ტემპი როდის შეცვალოს“, - წერს ბრიტანული გამოცემა.

***ცნობისთვის:*** *FourFourTwo-ს რეიტინგში „კვარა“ მე-5 ადგილს იკავებს. იგი კარიმ ადეიემის, გაბრიელ მარტინელის, ვილიამ სალიბას, ედუარდო კამავინგასა და ბუკაიო საკას უსწრებს, მასზე წინ კი გავი, ჯამალ მუსიალა, პედრი და ჯიუდ ბელინგემი იმყოფებიან.*

**ამირან გურიელიძე**